საერთო გაზეთი

№7 (465) • 28 თებერვალი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ცისფერი ეკრანი შავი ლაქებით

ვახტანგ ხარჩილავა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, როგორც იქნა, დამთავრდა — პარლამენტმა იოლად დაძლია პრეზიდენტის ვეტო და ის საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელს განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის საშუალებას მისცემს. თუმცა კომერციული ტელევიზიების წარმომადგენლთა აზრით, რომლებიც გააფთრებულნი ეწინააღმდეგებოდნენ ამ კანონის მიღებას, ახალი რეგულაცია არღვევს ჯანსაღი კონკურენციის პრინციპებს, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რეკლამის მოზიდვის უფლების მინიჭება მკვეთრად შეამცირებს იმ შემოსავლებს, რომლებსაც ისინი სარეკლამო მომსახურებიდან აქამდე იღებდნენ.

ვფიქრობთ, კომერციული ტელევიზიების ისტერიული შიში, რომ ახალი რეგულაციები საფრთხეს შეუქმნის მათ ფინანსურ მდგომარეობას, საფუძველს არის მოკლებული.

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი წესდების მიხედვით, არ შეიძლება კერძო ტელევიზიების კონკურენტი იყოს და ეს ამ ტელევიზიების მფლობელებმაც შესანიშნავად იციან.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რეკლამის განთავსების უფლების მინიჭება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კერძო ტელევიზიები ამის გამო იზარალებენ.

შეიძლება პირიქით მოხდეს და ეს საკანონმდებლო ცვლილება კომერციული ტელევიზიებისთვის ახალი მოტივაციის, ახალი სტიმულის, განვითარების ახალი პერსპექტივების ძიების საბაბი გახდეს, რაც, უდავოდ, გამოაცოცხლებს მდორე, მოსაწყენ და თვითდინებაზე მიშვებულ სატელევიზიო ცხოვრებას.

როგორც ვთქვით, კერძო ტელევიზიები და საზოგადოებრივი მაუწყებელი არ შეიძლება ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ.

მაშინ რამ დარაზმა ერთად და რამ გააერთიანა ეს კერძო ტელევიზიები საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ, რომლებიც, კომერციული კუთხით თუ შევხედავთ, სწორედ რომ ერთმანეთის კონკურენტები არიან და, წესით და რიგით, მათი მოქმედებები საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად და მეტოქეების დასასუსტებლად უნდა იყოს მიმართული და არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩასაძირად?

რამ გააერთიანა და იმ პოლიტიკურმა ინტერესებმა, რომლებიც საერთო აღმოჩნდა როგორც კერძო ტელევიზიებისთვის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების იმ ნაწილისთვის, რომლებიც, მართალია, საკუთარ თავს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს კი უწოდებენ, მაგრამ, სინამდვილეში, პოლიტიკური ორგანიზაციების საიდუმლო პარტნიორები არიან.

აბსოლუტურად ზუსტი იყო პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის შეფასება, რომელმაც საზმაუს წინააღმდეგ მიმართულ ამ ისტერიულ კამპანიას პოლიტიკური შტურმი უწოდა.

დიახ, ეს იყო კარგად ორგანიზებული პოლიტიკური შტურმი, დაგეგმილი „რუსთავი-2“-ის „გენშტაბში“, „მთავარსარდალ“ გვარამიას ხელმძღვანელობით, რომლებშიც ასო-ების გარდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პრეზიდენტ მარგველაშვილის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ მიერ მწერლებად და პოეტებად დანიშნული სუბიექტები, აგრეთვე პირები, რომლებიც ყველა ექსტრემალურ სიტუაციაში, ხალხის სახელით, საზოგადოების სახელით ლაპარაკობენ, თუმცა ამ უფლებამოსილებით ისინი არავის აღუჭურვია.

მოკლედ რომ ვთქვათ, არა იმდენად კომერციული, არამედ ნათლად გამოხატული პოლიტიკური ინტერესები გამოიკვეთა იმ დისკუსიასა და პაექრობაში, რაც საზმაუს ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით გაიმართა და პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ კომერციული ტელევიზიები სარფიანი კომერციის მთავარ წყაროს პოლიტიკაში ხედავენ.

სწორედ პოლიტიკაა მათთვის აღებ-მიცემობის, ვაჭრობის, სარფიანი გარიგების მთავარი საშუალება, ხოლო გაძლიერებული, რეფორმირებული, მძლავრ და ავტორიტეტულ საინფორმაციო ტელეკომპანიად ქცეული საზოგადოებრივი მაუწყებელი კერძო ტელევიზიებს შეიძლება თავიანთი კომერციული მიზნების ეფექტურად განხორციელების კუთხით ხელისშემშლელ ფაქტორად ექცეთ.

აი, ამის შიში აქვთ კერძო ტელეკომპანიებს და ამიტომ ებრძვიან საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების და გაძლიერების კეთილშობლურ იდეას და პროექტს, რომელიც ახალი კანონის მიღებით, მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ქვეყნისა და საზოგადოებისთვის უაღრესად ხელსაყრელ რეალობად იქცეს.

საზოგადოებისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ის, საზმაუს ბიუჯეტი 52 მილიონი იქნება თუ 57 მილიონი, რადგან ამ ბიუჯეტის დანიშნულებისამებრ ხარჯვის გაკონტროლება ნებისმიერ დროს შეიძლება შესაბამისი სტრუქტურების მიერ, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია კერძო ტელევიზიებთან მიმართებაში.

კერძო ტელევიზიები, ფაქტობრივად, დახურული ტიპის ორგანიზაციებია, რომელთა ბუღალტერიაც აბსოლუტურად გაუმჭვირვალე და მიუწვდომელია საზოგადოებისთვის.

ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერი არ ვიცით, ვინ აფინანსებს ამ კომერციულ ტელევიზიებს, რამდენით აფინანსებს, რატომ აფინანსებს და, საბოლოო ჯამში, რა მიზნებს ემსახურება ის კოლოსალური თანხები, რასაც დაუნანებლად ყრიან მავანნი და მავანნი ამა თუ იმ ტელევიზიის შენახვაში.

არადა, უნდა ვიცოდეთ, რადგან საქმე ეხება არა ჩვეულებრივ ბიზნესსტრუქტურას, რომელსაც, ვთქვათ და, გაყინული ქათმის ბარკლები ან პრეზერვატივები შემოაქვს საიდანღაც, არამედ ისეთ მძლავრ და სახიფათო საშუალებას, რომელსაც საინფორმაციო საშუალება, კონკრეტულად ტელევიზია ჰქვია, რომელსაც შეუძლია სერიოზული საფრთხეები შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას, ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკას, გადამწყვეტი როლი ითამაშოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, სერიოზული გავლენა მოახდინოს საარჩევნო პროცესებზე და ა. შ.

ვიმეორებ, საზოგადოებერივ მაუწყებელში კი არ არის პრობლემა, მთავარი პრობლემა კერძო ტელევი-

2 გვ. →

როინ ნაჭყებია:

იმდენი აფერისტობა და უნამუსობაა დაფიქსირებული „ფარმაცევტული სახლი+“-ის მიერ წარმოდგენილ „დოკუმენტებში“, 20 არამზადას ეყოფა ცალ-ცალკე საციხედ

„ახლა ისეთ რაღაცას ვიტყვი, რომლის ჩემს გარდა არავის სჯერა - საქართველო 30-40 წელიწადში შეიძლება მეორე შვეიცარია გახდეს“

ვეძებთ „ბეემვეზე“ ამხედრებულ „უთავო მძღოლს“, რომელმაც 20 წლის ანა ნაცვლიშვილი დანით დაჩეხა

უვადოდ დანიშნულო დამნაშავე მოსამართლეებო, ხშირად უყურეთ ფილმ „მონანიებას“ - მაინც ამოგთხრიან“

ჯალათები და მწამებლები, საქართველოს გარდა, არცერთ ქვეყანას არ შეუწყალებია

აზარტული თამაშები - ქვეყნის მთავარი უბედურება

„საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაზროვნე ადამიანისთვის

ცისფერი ეკრანი შავი ლაქებით

1 გვ.

ზიების ფინანსურ გაუმჭვირვალობაშია, როცა ბრმად და ხელისცეცებით გვიწევს სიარული დანაღმულ საინფორმაციო ველზე და არავინ იცის, სად რომელ ნაღმს წამოვკრავთ ფეხს და როდის ავფეთქდებით.

სახელმწიფო ვართ ჩვენ და, ცხადია, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახურები, რომლებიც სისტემატურად სწავლობს, იკვლევს და აანალიზებს მედიის, განსაკუთრებით ელექტრონული მედიის საქმიანობას, თუმცა დიდი კვლევა და ანალიზი სულაც არ სჭირდება იმის დანახვას, რომ ზოგიერთი ტელევიზიის საქმიანობაში აშკარად შეინიშნება იდეოლოგიური დივერსიის ელემენტები. ხელისუფლების კრიტიკას არავინ კრძალავს, მაგრამ სულ სხვა საქმეა, როდესაც ხელისუფლების კრიტიკის, დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების ნიღბით ინიღბები და საკუთარ სახელმწიფოს, მის სახელწოფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს უპირისპირდები და თავგამოდებული ცდილობ, საკუთარ ქვეყანას სახელი გაუტეხო, ათასგვარ ცოდვაში დაადანაშაულო.

მტრული, აგრესიული, დესტრუქციული, კონფრონტაციულ-მავნებლური — ასე შეიძლება შეფასდეს ზოგიერთი მედიასაშუალების მუშაობა, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს არც სიტყვის თავისუფლებასთან, არც დემოკრატიულ ღირებულებებთან, რაზეც ასე ხშირად აპელირებენ ვიღაც-ვიღაცები.

თვალსაჩინოებისთვის ერთ ფაქტს მოვიყვან, რომელიც სულ ახლახან მოხდა.

„რუსთავი-2“-მა მოახერხა ინტერვიუს ჩაწერა აფგან მუხთარლისთან, რომელიც ორი დღით გაათავისუფლეს სასტამბოდან მისი ახლობლების ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით.

მუხთარლიმ მის მოტაცებაში საქართველოს ხელისუფლებას დასდო ბრალი და ამ „ტერორისტული აქტის“ მთავარ ორგანიზატორებად ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაასახელა.

ცხადია, ეს ინტერვიუ რომ შემდგარიყო, „რუსთავი-2“-ს დიდი ძალისხმევა და მრავალი ბარიერის გადალახვა დასჭირდებოდა, მაგრამ მან მიზანს მაინც მიაღწია.

რატომ, რისთვის გაისარჯა „რუსთავი-2“ ასე?

რისთვის და იმისთვის, რომ საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა, რომ საქართველო ტეროტრისტული ქვეყანაა, სადაც ადამიანებს იტაცებენ, ყოველივე ამას კი ქვეყნის ყველაზე გავლენიანი მოქალაქე, ბიძინა ივანიშვილი და პრემიერ-მინისტრი უდგანან სათავეში.

როგორი კოშმარული ამბავია, არა?

აქ არ არის იმის ადგილი, თორემ ვრცლად მოგახსენებდით, რა ჟურნალისტიც აფგან მუხთარლი არის და, საერთოდ, რას წარმოადგენს ის იატაკქვეშა აზერბაიჯანული ორგანიზაცია, რომლის წევრიც ბატონი მუხთარლი ბრძანდებოდა და რომლის მთავარი მიზანი ჩვენს მოძმე და მეზობელ აზერბაიჯანში „აზერბაიჯანული გაზაფხულის“ მოყვანა იყო.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იცის „რუსთავი-2“-მა, მან ისიც იცის, რომ გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა და საქმეში იმდენი საეჭვო გარემოება იკვეთება, რომ ვერსია მუხთარლის გატაცების შესახებ შეიძლება სრული სიცრუე და პროვოკაცია აღმოჩნდეს, თუმცა ასეთ „წვრილმანებზე“ „რუსთავი-2“ როდის დაფიქრებულა, რომ ახლა დაფიქრდეს?

ვინ არის ჩამკირკიტებელი და ჩამძიებელი, თორემ „რუსთავი2-“-ის არცთუ ისე ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში იმდენ საჩოთირო და სკანდალურ დეტალს აღმოაჩენ, შეიძლება იფიქრო, რომ ეს პატივცემული „რუსთავი-2“ ჩვეულებრივი ტელეკომპანია კი არა, სადაზვერვო-საჯაშუშო ტიპის ორგანიზაციაა.

„რუსთავი-2“, რომელიც თავის თავს დასავლური ღირებულებების რუპორად და ამ ღირებულებების ერთგულ მსახურად ასაღებს, სინამდვილეში, არ არის გამორიცხული, სულ სხვა სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდეს.

ასე ჩანს იმ საქმით, რომელსაც ის აკეთებს, ხოლო რას ამბობს სიტყვით, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

როცა დაჟინებით ცდილობ, მოსახლეობა და სახელმწიფო სტრუქტურები ერთმანეთს დაუპირისპირო და მათ შორის ბარიკადები აღმართო, როცა ადამიანებზე მიზანმიმართულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენ და ხელს უწყობ მათ გაუცხოებას საკუთარი სახელმწიფოსგან, როცა ყოველდღე ისეთ აპოკალიფსურ სურათს ხატავ, თითქოს ამ ქვეყნის დასასრული დადგა და თუ შეგიძლია, თავს უნდა უშველო და უნდა გაიქცე, ვის აძლევს ყოველივე ეს ხელს და ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველისთვის მიმინდვია, მანამდე კი იმის თქმით დავკმაყოფილდები, რომ, აი, ასეთი საეჭვო სახის ტელევიზიის ფინანსური მხარე აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა საზოგადოებისთვის.

როგორც ვიცით, „რუსთავი-2“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის ძალიან დიდი დავალიანება აქვს, რომლის გადახდასაც არც თვითონ ჩქარობს და არც არავინ აჩქარებს.

საუბარია არა რაღაც უმნიშვნელო თანხაზე, არამედ რამდენიმე მილიონზე, რომელსაც „რუსთავი-2“ ჯიუტად არ იხდის, ეს იმ დროს, როცა მილიონები კი არა, 500 და 1000 ლარზე წარმოებას გაგიჩერებენ და ქონებას დაგიყადაღებენ. აი, ეს უნდა ყოფილიყო იმ კერძო ტელევიზიების აღშფოთების საგანი, რომლებიც „რუსთავი-2“-ს მეცამეტე გოჭივით მაამებლური ღრუტუნ-ღრუტუნით აეკიდნენ — იქნებ, იმ საიდუმლო ძუძუსთან ჩვენც მიგვიშვან, საიდანაც რძე ნაკადულივით მოჩქეფსო.

„რუსთავი-2“-ის ბიოგრაფია — ეს არის „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივ საქმიანობასთან გადაჯაჭვული კრიმინალური თავგადასავლებით სავსე ბიოგრაფია, რაც არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, თუმცა, მიუხედავად ამისა, დღემდე არ მოხდა ამ ბიოგრაფიის დეტალების სათანადოდ შესწავლა და გასაჯაროება, რაც პირდაპირ კავშირშია იმ გარემოებასთან, რომ დღემდე ვერ მოხერხდა „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმის გასამართლება.

ქართული ნიურნბერგის პროცესი ვერ შედგა, ამიტომაც ზის ქართულ ტელესივრცეში „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ნიკა გვარამია „ჟურდად“ და „პალაჭენიებს“ ალაგებს.

სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, სანამ არ გაიხსნება „რუსთავი-2“-ის საიდუმლო სკივრები, სანამ არ გაიშიფრება „რუსთავი-2“-ის შავი ბუღალტერია, ქართულ ტელესივრცეში სულ ასეთი ქაოსი და განუკითხაობა იქნება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, ქართული სახელმწიფო განვითარებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ქართული ტელევიზიების ფინანსური საქმიანობა აბსოლუტურად გამჭვირვალე იყოს.

ამასწინათ ორი სკანდალი წაეწყო ერთმანეთს: ორმა კერძო ტელევიზიამ ხელისუფლება ზეწოლაში დაადანაშაულა, რაც იმაში გამოიხატებოდა თურმე, რომ ხელისუფლება ამ კერძო ტელევიზიების მესაკუთრეთა ბიზნესებს ავიწროებდა, საიდანაც ეს ტელევიზიები ფინანსდებოდა, რომ ამით ამ ტელევიზიებს საინფორმაციო პოლიტიკა მისთვის სასურველ ტონალობაში გადაეყვანა.

ნიშანდობლივია, რომ ეს ორივე მესაკუთრე, ძირითადად, თამბაქოს ბიზნესით არიან დაკავებული, სადაც მძაფრი და დაუნდობელი კონკურენციაა და, აქედან გამომდინარე, ადვილად შესაძლებელია, ის შეფერხებები და დაბრკოლებები, რაც მათ ბიზნესაქმიანობას უარყოფითად შეეხო, სწორედ მათი კონკურენტებისგან მოდიოდეს, თუმცა ორივემ ხელი მაინც ხელისუფლებისკენ გაიშვირა, რაც სხვა არაფერია, თუ არა იაფფასიანი და სულმდაბლური შანტაჟი: ძვირფასი ხელისუფლებავ, თუ ჩემი ბიზნესის წარმატებულად წარმართვაში არ დამეხმარები, ჩემს პრობლემებს შენ დაგაბრალებ და თავისუფალ და დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლაში დაგადანაშაულებ.

ისმის კითხვა: თამბაქოს იმპორტიორებს საერთოდ რაში აინტერესებთ, ჰქონდეთ საკუთარი ტელევიზია და მის შესანახად მილიონები ხარჯონ?

იმისთვის ხომ არა, რომ ამ ტელევიზიებით საიმედოდ „გადახურონ“ საკუთარი ბიზნესი და ამ ქოლგის ქვეშ უფრო დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ თავი მაშინაც კი, როცა მათი ბიზნესსაქმიანობა კანონით დაშვებულ ნორმებს სცილდება, ხოლო თუ რაღაც გაუგებრობა მოხდება, შანტაჟზე გადავიდნენ, როგორც ეს უკვე მოხდა ზემოთნახსენებ შემთხვევაში.

ასეთი არაჯანსაღი ვითარებაა ჩვენი ტელემედიის ბაზარზე, სადაც უაღრესად დაბალი ხარისხის პროდუქციაა გამოტანილი გასაყიდად, რასაც ამ პროდუქციის მწარმოებლები ხშირად ფინანსური ხელმოკლეობით ხსნიან, თუმცა მხოლოდ ფინანსებში რომ არ არის საქმე, ეს კარგად ჩანს ტელეკომპანია „იმედის“ მაგალითზეც, რომელსაც მატერიალურად ნამდვილად არ უჭირს, მაგრამ მის საქმიანობას მაინც ღრმად პროვინციალური ელფერი დაჰკრავს.

ტელეკომპანია „იმედმა“, რომელიც „რუსთავი-2“-იდან გადმობარგებული „ლეგიონერების“ საძმო სასაფლაოდ იქცა, ვერა და ვერ მოახერხა გამოეკვეთა საკუთარი ინდივიდუალური სახე და ეს არც არის გასაკვირი — როცა სხვის მიერ შექმნილი პროდუქციის იმპორტით ზედმეტად ხარ გატაცებული, აუცილებლად დაკარგავ საკუთარ სახეს და იმ პროდუქციის შემქმნელის ასლად და კომპილაციად გადაიქცევი. „იმედის“ მესვეურები ვერ მიხვდნენ, რომ მაყურებელს არ სჭირდება და არ აინტერესებს „რუსთავი-2“-ის განაყოფი „რუსთავი-2“, „იმედის“ სახელწოდებით და „იმედის“ იარლიყით.

პირდაპირ ვიტყვით: გზა, რომელიც „იმედმა“ თავისი მაუწყებლობის გადასახალისებლად და გასაუმჯობესებლად აირჩია, დიდი შეცდომაა, რასაც გარდაუვლად მოჰყვება ამ ტელეკომპანიის იმიჯის შელახვა და არცთუ ისე მაღალი რეიტინგის კიდევ უფრო დაბლა დაშვება.

ასეთი სავალალო სურათია ქართულ ტელესივრცეში და ამ სურათის შეცვლა ერთადერთ ტელეკომპანიას, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შეუძლია.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არის ბოლო იმედი, ბოლო ფორპოსტი, რომელიც საზოგადოებას დარჩა, რომ თავისი სათქმელი ხმამაღლა გამოხატოს და ამით ქართული სახელმწიფოს განვითარების და გაძლიერების სწორი კონცეფციის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

დისკუსიას ამ თემასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ვეძებთ „ბეემვეზე“ ამხედრებულ „უთავო მძღოლს“, რომელმაც 20 წლის ანა ნაცვლიშვილი დანით დაჩეხა

ეფექტი

კიდევ ერთი ახალგაზრდას ცხედარს მიიბარებს ქართული მიწა.

არ გვცალია ჩვენ დასატირებლად – ჯერ ის გვაქვს გასარკვევი – იმსახურებდა, თუ არა მოკვლას, ჰქონდა თუ არა ინტიმური ურთიერთობა სხვა მამაკაცთან და საერთოდ, ჰქონდა თუ არა ინტიმური ურთიერთობა?

პაპიროსსაც ეწეოდა იქნება, ყავასაც სვამდა, ალბათ.

შვილმკვდარ მამას დაადგნენ ჟურნალისტები: – ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს თქვენი ქალიშვილი ნამდვილადო?

– „ყელი გამოჭრეს ჩემ გოგოს... რომელ ეჭვიანობაზე ლაპარაკობთ“ – უპასუხა

დაბნეულმა, გატეხილმა, მობეზრებულმა, სასოწარკვეთილმა, რადგან, ვერ გაიგო, რა მნიშვნელობა აქვს ეჭვიანობის ნიადაგზე მოუკლეს შვილი, თუ სხვა მიზეზით.

ყელი გამოჭრეს 20 წლის გოგოს, 7-ჯერ ჩაარტყეს დანა და საზოგადოებას ის ადარდებს: ჰქონდა, თუ არა გოგონას ინტიმური კაშკირი ბეემვეს ვინმე მძღოლთან.

კარგი, მივყვეთ მოვლენებს: დილის 4 საათამდე ემესიჯებოდა, როგორც პროკურატურა გვეუბნება, მკვლელობაში ბრალდებულ ყოფილ შეყვარებულ გრიგალაშვილს და ბოლო ზარიც მისი ნომრიდანაა განხორციელებული. ყოფილ შეყვარებულთან მესიჯობას და საუბარს რომ მორჩა, ხალათით ჩავიდა არსებული შეყვარებულის სანახავადო – აი, იდუმალი რომ არის და უჩინარი. მაგრამ არსებულ შეყვარებულთან მისვლამდე – ისევ ძველს ესაუბრა – ასეა, თურმე, დაფიქსირებული ტელეფონის მიხედვით და ჰა...

დილით კი, გოგონას ყელგამოჭრილი ცხედარი იპოვა მშობელმა...

აღიარა გრიგალაშვილმა მკვლელობაო – მოგვახსენეს სამართალდამცავმა ორგანოებმა, აღიარა და დანაც იპოვნა მის მანქანაში პოლიციამ – მაგრამ ადვოკატი ამბობს – ბრალდებულის მამის დანაა ეგ და მაგ დანით ვერ იქნება მკვლელობა ჩადენილიო.

ხო, მამის დანით ვინ კლავს ყოფილ შეყვარებულს.

მეტიც, ადვოკატი ამბობს – ფაქტზე წაადგა იმ რაღაც ბეემვეში ინტიმური ურთიერთობით დაკავებულს ვიღაც კაცთან და სახეც შეუთვალიერა იმ კაცსო.

ხოდა, ეს ყოვლად შეყვარებული კაცი – რომელმაც საყვარელი ქალი სხვის მკლავებში იპოვნა – მოტრიალდა და გამობრუნდა, მოტრიალებამდე კიდევ ერთხელ შეხება ინტიმური ურთიერთობით დაკავებულ კაცს – სახეზე დაიმახსოვრა, მანქანის ნომერი არა, დედას ვუტირებო – არ გაიფიქრა, არც უთხრა: – აქ ვარ, გიყურებთო, არც ცემა, არც შეიგინა – არა, გამობრუნდა და შეყვარებული მამას მიაკითხა – შენი შვილი დაიკარგა და წამოდი, მოვძებნოთო.

აი, იმ რაღაც გაურკვეველი ბეემვეს ვიღაც გაურკვეველმა მძღოლმა კი, მორჩა ინტიმურ საქმეს რა, დააძრო, დაცვის მხარის ვერსიით, თურმე დანა, გამოჭრა ყელი 20 წლის ანას – მოტივით – მაგის ძველმა შეყვარებულმა სახეზე დამინახაო, ცხედარი დააგდო და მიიმალა.

ხოდა, გასაჭირშია ახლა გრიგალაშვილი – შეიძლება მოძებნოს უთავო მძღოლმა და მოკლას – ამიტომაც, კარგია, ციხეში რომ ზისო – ადვოკატმა.

უთავო მძღოლო – ადვოკატია გარეთ, ავდოკატი – „ნაკოლს“ გაძლევ...

თუ გირგალაშვილმა ყოფილი შეყვარებული სხვის მკლავებში იპოვნა ბედნიერი – რატომ ეძებდა ასე თავგანწირვით, რა უნდა მოსვლოდა ახალგაზრდა გოგოს საყვარელ მამაკაცთან?

თუ გრიგალაშვილმა ყოფილი შეყვარებული სხვა კაცთან ინტიმური ურთიერთობის დროს იპოვნა – საერთოდ რაღას ეძებდა, რაღაში სჭირდებოდა?

აი, თუ უკვე ყელგამოჭრილი ყავდა დაგდებული და დანა ჰქონდა გადამალული – მაშინ შეიძლება კვალის დასაფარად დაეწყო გოგონას ძებნა, მაშინ კიდევ გავიგებდი. ახლა ვერ გავიგე, ვერც დავიჯერე.

საზოგადოებას ვეძებ ბრბოში.

ვწერთ და ვამბობთ ხოლმე – საზოგადოება თვლის, საზოგადოება უკმაყოფილოა, საზოგადოებას არ მოწონს – სად არის მაინც ეს საზოგადოება, სად ვმალავთ?

ისეთმა საზოგადოებამ დაწერა – მანქანაში წაწყდომია შეყვარებულს სხვა კაცთან და ქართველ კაცს რა უნდა ექნა, აბაო – რომ საზოგადოებას ვეძებ მას მერე.

ყველას თავისი დარდი აქვს – ბრალდებულის ადვოკატი უთავო მძღოლს ეძებს – მე საზოგადოებას.

ქართველი კი არა, საერთოდ განა კაცია ის, ვინც შეყვარებულს სხვა მანქანაში შეუწრებს ინტიმური ურთიერთობის დროს, მერე ამ ურთიერთობის დასრულებამდე კაცის სახეს თვალს არ აშორებს, რომ კარგად დაიმახსოვროს, დაელოდება დასრულებას, დაელოდება როდის გადმოვა გოგონა მანქანიდან – რადგან კაცს ვერ მოერევა, ალბათ, გოგოს კლავს, დანას მალავს და შვილმკვდარ მამასთან მიდის, წამოდი, შვილს მოგაძებნინებო?

ხომ ამბობთ, რომ ასე მომხდარა, თურმე, ხოდა, ასეთი ქართველი კაცი ვიცი მე?

„ხევისბერი გოჩა“ გადაიკითხეთ – ღალატისთვის კაცი მოკლა ხევისბერმა, თუ ქალი?

მაინცდამაინც მარიტას ნუ გამახსენებთ – ტყუილია ეგ, არასოდეს ყოფილა ქართველი კაციჭამია, არც ქალიჭამია.

ქართველო კაცებო, ქართველ კაცობას ნუ მიაწერთ უსუსური გოგოს მკვლელობას.

ქართველო კაცებო, სხვის ცოლებს რომ ტვინს უტრიალებთ ხოლმე და დასდევთ – მაშინ არ გახსენდებათ ქართველი კაცობა?

ქართველო კაცებო – ქალაქში რომ არასრულწლოვანი გოგონები თურქ ბიძიებთან ერთად ხელგადახვეულნი დადიან – ისინი თქვენი ქალიშვილები არ არიან, განა?

მამას გოგოს ყელი გამოჭრეს, 7-ჯერ ჩაარტყეს დანა – ღირსი იყოო – ეუბნებით – ქართველია ეგ? ჩემი ქართველი ამბობს მაგას?

ჩემს შვილს კამათი მოუვიდა უფროსკლასელთან – ჩემს კლასელ გოგოს ცუდი სიტყვა უთხრაო. მართალია, ის გოგო არ იყო მართალი, მაგრამ ბიჭმა გოგოს ასე როგორ უნდა მიმართოსო.

არ ვიცი, მერე ეს ვითომ საზოგადოება რას უზამს ჩემს შვილს, როგორ შეცვლის, რას გადაუგვარებს – მაგრამ ესაა ქართველი, ასეთია ქართველი.

შეყვარებულებს კი არა ქმრებს შორდებიან – უნდა მოეკლა იურა რუსს თამარ მეფე.

სახელმძღვანელო გამოვცეთ: რისთვის შეიძლება ვცემოთ ადამიანი, რის გამოა ადამიანის მოკვლა გამართლებული.

მაგალითად: – ყოფილი შეყვარებულისთვის ღალატისთვის მკვლელობაა სასჯელი, როგორც დააწესა საზოგადოებამ, რამდენმა კაცმა უღალატეთ ყოფილ შეყვარებულს, მოქმედ შეყვარებულს, მოქმედ ცოლს – ხელი აწიეთ – დაგხოცოთ უნდა.

მაინც რა ღირს ადამიანის სიცოცხლე? ერთი სექსი? ორი შეყვარებული?

მაინც რა ღირს ადამიანის სიცოცხლე? – 7-დან 15 წლამდეო – გვითხრეს და საქმე ისე მიდის, დანაშაული რომც დაუმტკიცდეს, 7 წელსაც არ გააჩერებენ ციხეში, ვატყობ.

შეიძლება, სულაც გარეთ გამოუშვან ერთადერთი ბრალდებული, დღეის მონაცემებით და იმ უცხო ბეემვეზე ამხედრებული უთავო მძღოლის დევნა განაგრძონ. არც ეგ გაგვიკვირდება – ვიცი უკვე. არ არის საზოგადოება და იმიტომ. ვეძებე და ვერ ვპოულობ ბრბოში ჩამალულ საზოგადოებას, გადაუყლაპავს ბრბოს, მოუნელებია კიდეც.

დადის ახლა ეს ქართული ბრბო, დედის უკუღმა გინებით, ქუჩაში ფურთხებით, დადის კაზინოში, საზღვარგარეთ მონად ჩაბარებული ცოლის გამოგზავნილი ფულით, დასდევს სხვის ცოლს და შეყვარებულს, დადის დანით, ჩინური მასაჟისკენ მიმავალი გზად ფსიქოტროპულ აფთიაქს გადის, დადის სულ უკმაყოფილო და მშიერი, დადის მთვრალი ან ნაბახუსევი – სახლში ლომი და ქუჩაში კურდღელი, ფეისბუქზე – ვეფხვი და ქუჩაში – თაგვი... ქუჩაში თვალს არიდებს მეზობლის პატარა გოგოს უსაქციელო ქცევას – სახლში განიხილავს, რატომაც არა, სახლში ფეისბუქი აქვს.

20 წლის ყელგამოჭრილი, დაჩეხილი ცხედარი უნდა ჩადოს მამამ მიწაში, ესენი ზემოდან აფურთხებენ, კუბოს ზემოდან ესვრიან ქვებს.

20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესჯებათ ადამიანებს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისთვის, წამებისთვისო – წერია კანონში.

რატომ არ არის 20 წლის გოგოს დანით დაჩეხვა წამება და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული?

რატომ არ არის მკვლელობის გამართლება სისასტიკე და რატომ არ არის სისასტიკე დასჯადი?

ხვალ და ზეგ შეიძლება თქვენი შვილი დაშორდეს შეყვარებულს – რა გააკეთოს მისმა ყოფილმა შეყვარებულმა? არ მოკლავს – ჭეშმარიტი ქართველი ვერ იქნება, აკი, ქართველობა დაშორებული გოგოების ხოცვაა, მოკლავს და დაიჭერენ.

მოიფიქრებს, ალბათ, თქვენი შვილის ყოფილი შეყვარებული რამეს, აარჩევს რომელიმე ვარიანტს და პირველი თუ აირჩია, მამები რას იზამთ, მამები? სად გადაეფარებით ამდენ ფურთხს, რომელსაც არც თქვენი მკვდარი შვილისთვის დაიშურებს ბრბო, სახელად საზოგადოება...

მკვლელობა თუ აღიარა გრიგალაშვილმა, როგორც პროკურატურამ გვითხრა – კაცურად რომ მოიქცეს და ერთი წლით ნაკლები სასჯელის გამო სიცოცხლესთან ერთად სახელიც არ მოუკლას გოგოს – ასე ძნელია?

ან ეს აღიარება თავიდანვე როგორ მოიფიქრა, ან მერე ვინ გადაფიქრებინა, რომელ ახლობელს მოუვა თავში აზრად თქვას: – კი, მოკალი, მაგრამ, მოდი, იმ გოგოს იმნაირის სახელი დავარქვათ და ქვიშაში ნემსის საძებნელად გავუშვათ გამოძიება, რომელიც ვერასოდეს იპოვის ბეემვეს უთავო მხედარსო?

მარკა შეგეშალათ, მარკა.

ოპელი რომ გეთქვათ, აქამდე იპოვნიდით ვინმე, საწყალ ბიჭს და შეახოცავდით სისხლიან ხელებს. ბეემვიანები უმეტესად პატრონიანები და ფულიანები არიან – შეგეშალათ მარკა.

ვერსიაც შეგეშალათ – მეზობლებმა პატიოსანი და წყნარი, მშრომელი და წესიერი გოგო იყოო – თქვეს და ჩემზე უკეთ იცით, ქართველმა მეზობელმა მშობელზე უკეთ რომ იცის, რას აკეთებს და როგორია ჩვენი შვილი.

ერთი, რაც ვერ შეგეშლებათ, ისაა, რომ 20 წლის გოგონას დაჩეხილი ცხედარი იპოვნა მამამ. დასტირის და ფურთხს იგერიებს, დასტირის და ბრალდებულის ადვოკატმა დრო უპოვნა, დასტირის და ჩვენ კიდევ პურიც დაგვავიწყდა, ისე პირდაღებულნი შევცქერით სანახაობას.

ვუსამძიმრებ ანა ნაცვლიშვილის ოჯახს.

ვუსამძიმრებ აქა-იქ შემორჩენილ ქართველებს – ბრბოს მიერ ქართული საზოგადოების გადასანსვლასა და მონელებას.

555 46 08 04

„ახლა ისეთ რაღაცას ვიტყვი, რომლის ჩემს გარდა არავის სჯერა – საქართველო 30-40 წელიწადში შეიძლება მეორე შვეიცარია გახდეს“

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

– ბატონო ვაჟა, ფინანსთა სამინისტრომ მცირე მეწარმეებისთვის ახალი რეგულაციები დაანწესა. რა სიკეთეს მოუტანს ეს ჩვენს ეკონომიკას და რამდენად საკმარისია საგადასახადო რეფორმის ეს ინიციატივა?

– ეს, უდაოდ, წინგადადგმული ნაბიჯია, ცვლილებები ეკონომიკას დადებითად წაადგება. თავისთავად, ცხადია, ბიზნესგარემო სისტემურ, პერმანენტულ გაუმჯობესებას მოითხოვს მით უმეტეს, იმ ვითარებაში, როცა ქვეყნის ეკონომიკა არასახარბიელოა, ხოლო ბიზნესი, მაინცდამაინც, ვერ იძლევა შედეგს. ხელისუფლების დადებითი მხარეა, რომ ბიზნესის ინტერესებიდან გამოდის, კარგი გაგებით მისი ლობისტია. პრემიერის ხედვები უფრო ლიბერალური, ცენტრისტულია, ვიდრე მემარცხენული, იგი ბიზნესის მხარდამჭერია, რაც ჩანს დაწყებული მოგების გადასახადის რეფორმიდან, ესტონური მოდელის დამკვიდრებიდან, დამთავრებული ბოლოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რაც ბიზნესის წახალისების, მასში მეტი თანხის დატოვებისკენ, მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. თუ გვინდა ერთ ადგილას გაჩერებული მდგომარეობიდან ეკონომიკა დაიძრას, რათა მოიხსნას ფანფარონული დემოკრატია, სწორედ, რეალური მხარდაჭერაა საჭირო.

– თუმცა, საგადასახადო პოლიტიკაში ბევრი ხარვეზია. თუნდაც ნონსენსია ის, რომ საარსებო მინიმუმი ისევე იბეგრება როგორც მაგალითად, 500 ათასი ლარი.

– ამ საკითხზე დაფიქრება აუცილებელია, მაგრამ საგადასახადო ველის დიფერენცირება, პრაქტიკულად, ძნელია. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მას ეკონომიკის აღმავლობა არ მოჰყვება-ხოლმე. მდიდრები რომლებსაც უფრო მეტად ბეგრავენ, მეზობელ სახელმწიფოებში – იქ გარბიან, სადაც, ამ თვალსაზრისით, უკეთესი მდგომარეობაა. საქართველოდან საკმაოდ დიდი კაპიტალის გადინება ხდება. ქართველი მილიონერების, მათი კომპანიების და ბიზნესების კაპიტალი ოფშორულ ზონაში გადის. ფაქტობრივად, მთელი ქართული ეკონომიკა ოფშორულ ზონაშია გატანილი. ეს, თავისთავად, იმის მაუწყებელია, რომ ბიზნესი ცდილობს მემარცხენული ხედვების მქონე ქვეყნებს გვერდი აუაროს, თავი დაიცვას და იქ, სარგებელი ნახოს. მემარცხენულ პოზიციებზე გადასვლამ ისეთ ქვეყანასაც კი არ მოუტანა შედეგი როგორიც საფრანგეთია, საიდანაც კაპიტალი ინტენსიურად გავიდა მას შემდეგ, რაც დაბეგრეს. მოგეხსენებათ, ამის გამო, ჟერარ დეპარდიე რუსეთში გაიქცა, ახლა, ალჟირში გადაბარგდა. იგი ექსცენტრიული პიროვნებაა, მაგრამ უშუალოდ ტენდენციის გამომხატველია. ამიტომ, ასეთი მიდგომა, ერთი შეხედვით, ეფექტურია, მაგრამ შეიძლება საპირისპირო შედეგი მოიტანოს. კარგად მესმის, „აუდიტორია 115-ის“ სტუდენტების პროტესტის პათოსი, რასაც ვიზიარებ. ჩვენი დასაქმებულები მართლაც დაუცველნი არიან. დაბალი ფენები, საერთოდ, უუფლებო მდგომარეობაშია, შრომის კოდექსის ნორმების გამკაცრება და ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანი სანქციები კიდევ უფრო დაამძიმებს დაბალი სოციალური ფენების მდგომარეობას. აუცილებელია ოქროს შუალედის პოვნა, რათა ქვეყანაში დოვლათი შეიქმნას. როცა ეს მოხდება, მერე, თანდათან, განაწილების სისტემის დახვეწაზე, სოციალური სამართლიანობის დაცვაზე უნდა ვიზრუნოთ.

– ევროპელები 3 ათას ევროდ თავიდან გვიცილებენ. ასე მიგვიღებენ ევროკავშირში? რა როლი აქვს ამ ყველაფერში რუსეთს?

– ქართველ ხალხს ცივილიზაციის ყველაზე მოწინავე გამოვლინებებისკენ აქვს მიდრეკილება. ამიტომ უნდა მას ევროპა, ოღონდ უზრუნველყოფილი სოციალური პირობებით და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებით. ვინც ამ სტერეოტიპს არ ემთხვევა, პირუსად ცხადდება, ეს სიბრიყვეა. გამოსამშვიდობებელ საღამოზე კელიმაც ვერ გაუძლო ცდუნებას და გვითხრა: ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით საჭიროა მკაფიო ნარატივი. თუ ეს არ გექნებათ, ამ ნარატივს, განვითარების გეზს სხვები დაგიწერენო. მან, რუსეთი იგულისხმა. დავუშვათ, ეს ასეა, მაგრამ იქნებ ელჩს კარგად გაეაზრებინა აშშ-ს არჩეული პრეზიდენტის – ტრამპის ნარატივი, რომელიც მეორე წელია ხელისუფლებაშია, მაგრამ პოლიტიკური კლასის და მისი ნარატივი ცოტათი თუ მიუახლოვდა ერთმანეთს. ჩვენგან კი მკაფიო ნარატივს ითხოვს. თავად აშშ-ს მოსახლეობა ვერ გარკვეულა რუსული ფაქტორი საზოგადოების პრობლემების გადაფარვაა თუ რეალურად არსებობს. თუ სოციალური ქსელების მეშვეობით რუსეთს შეუძლია აშშ-ში არჩევნებზე მოახდინოს ზეგავლენა, მაშინ ცივილიზებული სამყარო კატასტროფის წინაშე დგას.

ჩვენ, დიდი გაჭირვებაგამოვლილი ერი ვართ და უნდა ვიცოდეთ, რომ გიორგი ბრწყინვალეს დროიდან მოყოლებული, ამ ქვეყანას, სრულფასოვანი ერთიანი სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია. როცა შენ დამპყრობელის, კოლონიის პირობებში გიხდება თავის გადარჩენა, სხვა მენტალობა გიყალიბდება. სახელმწიფო მოხელესა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის სხვა სტილია, რაც აგებულია ცბიერებაზე, მოტყუებაზე, პარვაზე. მერე იყო კომუნისტური საბჭოთა ექსპერიმენტი, რომელმაც ადამიანური ბუნება თავდაყირა დააყენა. შემდეგ, მრავალი ბრძოლის შედეგად დამოუკიდებლობა მივიღეთ, რისთვისაც მზად არ აღმოვჩნდით.

იმ პირობებში, როდესაც საზოგადოების უმეტესობა კრიმინალური მენტალიტეტის არის და პარვა კეთილდღეობის ამაღლების ერთადერთი საშუალებაა, ბუნებრივია, შედეგის მომტანი არ იქნება თუნდაც, ნახევარი საქართველო ციხეში გამოკეტო. ეს ხედვა დამარცხდა. ახლა, შედარებით ლიბერალური საზოგადოებრივი წესრიგის პირობებში, წინა პლანზე წამოვიდა დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ხარვეზი. ხედავთ, რა ნეგატივი ახლავს აშშ-ში განვითარებულ დემოკრატიას. იქ, ადამიანები ამბობენ: იარაღის ქონა არის ჩვენი უფლება, ფსიქიურად გაუწონასწორებლები ყიდულობენ მას, რასაც მერე მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოსდევს. არადა, უმარტივესია იარაღის თავისუფალი გაყიდვა აკრძალო. ამხელა ისტორიული რაკურსი წარმოვადგინე, რათა ამეხსნა, რატომ არის ჩვენთან კრიმინალური აზროვნების მენტალიტეტის ადამიანი. თუმცა, კრიმინალი აქ არც მეტია, არც ნაკლები ვიდრე აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ იმ დონეზე, რომ ევროპაში თავი ღირსეული შრომით დავიმკვიდროთ. ქართველს აქვს შეგონება, რომ კარგად უნდა ცხოვრობდეს. ასე იყო საბჭოთა პერიოდში. მაგრამ მაშინ იმპერია ამას რომ უშვებდა, ეს გარკვეული ხარკი იყო საიმისოდ, რომ შენ, რომელიც ამბოხდი, 1918–21წლებში დამოუკიდებლობა გამოაცხადე, მერე, 1924-ში აჯანყდი, მერე, ინტელიგენცია ვერ დაიმორჩილე, მერე, 1956-ში გააპროტესტე ამან ანტი-ქართული ხასიათი რომ მიიღო, ოღონდ გაჩერდი და მე, თვალებს დავხუჭავ. ხელისუფლება თვალს ხუჭავდა კორუფციაზე, მექრთამეობაზე. ეს არის გარკვეული ხარკი, რომელსაც შენ მეტროპოლია გიხდის, რათა მას დაემორჩილო. მაგრამ ევროპელები ასე არ ფიქრობენ. ისინი თვლიან: შენ გეძლევა შანსი საქართველოში ასეთი კეთილდღეობა თავად შექმნა. ახლა, შეიძლება ისეთი რამ ვთქვა, რისაც ჩემს გარდა არავის სჯერა, მაგრამ საქართველოში ცხოვრება 30–40 წელიწადში პრესტიჟული იქნება, თუმცა ვინც დღეს ქვეყნიდან გადის, ვერ გაამტყუნებ. რეალურად, ჩვენ, საქართველოში ცხოვრება პრესტიჟულად უნდა ვაქციოთ, რადგან ჩვენ შეგვიძლია ისეთი ქვეყანა გვქონდეს, როგორიც შვეიცარიაა. ეს არ არის ზღაპარი. ჩვენი ქვეყანა მარგალიტია, ეს რუსმაც იცის, აზერბაიჯანელმაც, სომხმაც, ყაზახმაც, თურქმაც, ოსმალომაც. ამ ბაღნარს ამ ბაღნარს მოვლა უნდა, ყველა თუ ევროპაში გაიქცა, ასე არაფერი გამოვა.

– მოდით, ეკონომიკურ მხარეზეც ვისაუბროთ. ვალდებულებები, რასაც ევროკავშირი გვიწესებს გაწევრიანებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის მიუღწევადია. ამ მაღალმა სტანდარტებმა, შეიძლება, ჩვენი ეკონომიკა მთლიანად შეიწიროს.

– ეს გლობალური თემაა. ევროპა, თითქოს, ჩვენი მოქალაქეებისთვის აღთქმულ ქვეყნად აღიქმება, სადაც შეხვალ და ყველაფერი ია-ვარდით იქნება მოფენილი, კეთილდღეობა ევროპულ სტანდარტებს გაუთანასწორდება, სოციალური დაცულობის ხარისხი იქნება მაღალი და ა.შ. არა, ასე არ იქნება. ჩვენ არაფერს გვეუბნებიან იმ პრობლემებზე, რაც ევროკავშირთან ადაპტაციის პროცესში აქვს რუმინეთს, ბულგარეთს, ბალტიისპირეთს, პოლონეთს. ამაზე ჩვენთან არავინ არაფერი იცის. რუმინეთში ცხოვრების დონე, როცა იგი ევროკავშირის წევრი გახდა, იმაზე მაღალი არ ყოფილა, ვიდრე

გგ3.

უვადოდ დანიშნულო დამნაშავე მოსამართლეებო, ხშირად უყურეთ ფილმ „მონანიებას“ – მაინც ამოგთხრიან“

„რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია? ვის მივმართო, რუსთაველი მკვდარია!“

კადრები წყვეტენ ყველაფერს! მართალია „გაევროპებულ“ ქართულ ნორჩ ინტელიგენციას, ეს გამოთქმა თურმე საბჭოურ გადმონაშთად მიაჩნია, მაგრამ ფაქტია – ევროპასა და ამერიკაში, აფრიკაშიც და ავსტრალიაშიც, მხოლოდ პროფესიონალები სჭირდებათ. პროფესიონალიზმი არის თავისუფლებაც და დემოკრატიაც! ეს ესმით ყველგან, მაგრამ არ ესმით საქართველოში!

ყველაფერი დაიწყო სასამართლო რეფორმის გარიჟრაჟზე. მაშინ როცა პარლამენტმა მიხეილ სააკაშვილი „ვარსკვლავთბიჭუნად“ „მონათლა“, ხოლო შევარდნაძემ – რეფორმების მამად, მაშინ, როცა სასამართლო რეფორმაში მილიონები ჩაიდო, ეგრედწოდებულმა რეფორმატორულმა ჯგუფმა ერთი ხელის მოსმით, კონსტიტუციისა და კანონის დარღვევით, გაათავისუფლა მოსამართლეები ვადაზე ადრე. ერთადერთი მოსამართ-

ლე, რომელმაც უკანონობა გააპროტესტა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა იყო აწ გარდაცვლილი მოსამართლე ჭაჭუა. მან სასამართლო მოიგო და იმის ნაცვლად რეფორმატორებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერად ეცნოთ, რუსთაველზე იმ მოსამართლეების ფიტულები დაწვეს, რომელთაც კანონი არ დაარღვიეს. ასე, კონსტიტუციის დარღვევით დაიწყო სასამართლო რეფორმა, რომელსაც სხვათაშორის, ევროპაცა და ამერიკაც ტაშ-ფანდურით შეხვდა.

უკანონობა კანონიერებას არ მოიტანს. სააკაშვილმა სასამართლო რეფორმის გარიჟრაჟზე აპრობირებული „მეთოდი“, 2004 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგაც გამოიყენა და ყველა, მისთვის არასასურველი მოსამართლე, ერთი ხელის მოსმით გაათავისუფლა ვადაზე ადრე, დაკავებული თანამდებობიდან. და, ამ ყველაფერს სასამართლო რეფორმის მეორე ეტაპი დაარქვა. იმხანად, მიშამ და მისმა ჯგუფმა, ირიბად, მაგრამ მაინც აღიარა რომ რეფორმის პირველი ეტაპი ჩავარდა და მეორე ეტაპი იქნება ის, რასაც ხალხი ელოდა წლების განმავლობაში.

მეორე ეტაპის შედეგად, საქართველოს დღეს ჰყავს უამრავი უსამართლოდ გასამართლებული ადამიანი და რაც მთავარია 200 პოლიტიკური პატიმარი!

სასამართლო რეფორმის განხორციელების საქმეში, დიდი როლი იუსტიციის საბჭოზე მოდის. ასე იყო რეფორმის გარიჟრაჟზე, მეორე ეტაპზე და ასეა დღესაც! ამიტომ, თავის დროზე, როცა იუსტიციის საბჭოს წევრთა არჩევნები ტარდებოდა, კოჰაბიტირებულებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ამ საჭირო ადგილას თავისი ხალხი გაეყვანათ და ეს ასეც მოხდა, რათქმა უნდა ამ პროცესებს ხელისუფლებამ შეუწყო ხელი.

არცერთ მოსამართლეს, რომლებიც მიხეილის სატანურ რიტუალში იღებდა მონაწილეობას და თანამემამულეებს, მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ სიცოცხლეს უმწარებდა, წამებისთვის იმეტებდა, მატერიალურად და სულიერად ანადგურებდა, უკანონო გადაწყვეტილებით კლავდა, აუპატიურებდა, ყველანაირ სისაძაგლეზე თვალებს ხუჭავდა დღეს, დანაშაულის გრძნობა არ აწუხებთ, შესაძლოა ღმერთსაც „რაღაცასაც“ შესთხოვენ არადა მათი ღმერთი მიხეილია და წყვდიადის ანგელოზები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ყავთ მოსამართლე წევრების სახით, აქა იქ კოჰაბიტირებულ ხელისუფლებაშიც „მოგუდულში“ დაატყლაშუნებენ ფრთებს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მათ მიხეილმა დღემდე მოქმედი „ლოცვაც“ დაუტოვა, რომლის შეცვლა არც უფიქრიათ კოჰაბიტირებულ წყვდიადის ანგელოზებს. სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში დევს ის ჯადოსნური სიტყვები, რის საფუძველზეც დღემდე აქვთ აფრები აშვებული მოსამართლეებს და ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად. მუხლი 7. არავის არა აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე. ასევე, კატეგორიულად აკრძალულია ვინმემ მოსამართლეს დაუსაბუთებელ, უკანონო გადაწყვეტილებაზე ანგარიში მოსთხოვოს. მოსამართლე ნატო ხუჯაძემ 2005 წელს ნათლობის ჯვრები და ქორწინების სამკაულები დანაშაულებრივი გზით შეძენილად სცნო ყველანაირი დასაბუთების და მტკიცებულებების გარეშე და „სოდის“ ნაძარცვი „გააპრავა“. სამაგიეროდ, კოდუას ცოლისძმას აღმკვეთი ღონისძიება გირაო შეუფარდა როცა მანამდე ჩადენილ დანაშაულზე განაჩენი არ იყო დამდგარი. „ჯილდოდ“ ნატო ხუჯაძე დღეს უვადოდ დანიშნული მოსამართლეა და პენსიის ასაკამდე მსუყე შემოსავლი ექნება, შემდეგ პენსიასაც სოლიდურს მიიღებს. პარლამენტის მიერ ოფიციალურად პოლიტპატიმრებად აღიარებულ ცოტნე ანანიძის. დიმიტრი ჭეიშვილის, ხვიჩა გამარჯობაძის, ალექსანდრე სოლომონიძის და სხვა მრავალ უკანონო განაჩენების გამომტანი მოსამართლეებიც უვადოდ აირჩიეს. მოსამართლე ილონა თოდუა. ჯერ კიდევ 2009 წლის აგვისტოში, ხუთ სხვა მოსამართლესთან ერთად, მოხვდა ოპოზიციონერი აქტივისტების მიერ რუსთაველის გამზირზე გამოკრულ პლაკატებზე, როგორც ხელისუფლების დაკვეთის გამორჩეული შემსრულებელი. რაც შეეხება მის კომპეტენციას, 2008 წელს, ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებული პროცესების პერიოდში, სახალხო დამცველის ანგარიშში შემდეგი ჩანაწერი გაჩნდა: „მოსამართლე ილონა თოდუას მხრიდან დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა... ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსამართლის არაკომპეტენტურობაზე, რომელმაც კანონის არცოდნის გამო 26 დღით გააჭიანურა სარჩელის წარმოებაში მიღება“. 2012 წელს ილონა თოდუამ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები 2 383 097 ლარით დააჯარიმა. ამასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ მაშინ ასეთი განცხადება გააკეთა: „მოსამართლის გადაწყვეტილება კრიტიკას ვერ უძლებს, სასამართლო კი აბსურდულ ლოგიკას ავითარებს. სასამართლო სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ, ყოველგვარი ფაქტების გარეშე, აჯარიმებს პოლიტიკურ პარტიებს ისე, რომ ვერ ასაბუთებს, რაში გამოიხატა უკანონო შემოწირულობა“... ზონდერ მოსამართლეები საზოგადოებას რამოდენიმე ეტაპად „ჩაუდეს“. რატომღაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო (განსაკუთრებით მოსამართლე წევრების დასი)ჩქარობს სისხლით განბანილი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას. გასულ კვირას აღნიშნულ „შეუქცევად“პროცესთან დაკავშირებით პრემიერმაც გააკეთა კომენტარი. – „რამდენიმე მოსამართლესთან დაკავშირებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ საზოგადობაში გააჩინა კითხვები და ეს კითხვები არის ჩვენ გუნდშიც. მათ შორის, მძიმეა რეაქცია სულხან მოლაშვილის საქმის განმხილველი მოსამართლის მანუჩარ კაპანაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით“.

მოსამართლის მანტია უვადოდ გადაეცა გიორგი გოგინაშვილს. მან 2011 წელს, როდესაც საქალაქო სასამართლოს მოსამართლე იყო, პატიმრობა შეუფარდა თავდაცვის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს სერგო თეთრაძეს, რომელსაც შპიონაჟი ედებოდა ბრალად. თეთრაძე საპატიმროში გარდაიცვალა.

2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, რომ თეთრაძე წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. სულხან მოლაშვილის მამა, მალხაზ მოლაშვილი, მისი შვილის საქმის მოსამართლის უვადო მოსამართლედ დანიშვნას ეხმაურება. მისი თქმით, მოსამართლე მანუჩარ კაპანაძის მიერ გამოტანილი განაჩენები „ენით აღუწერელი ცინიზმია“. მოლაშვილის მამის განცხადებით, მოსამართლეს პროკურორი რასაც ეტყოდა იმას აკეთებდა და არასდროს უფიქრია, რომ უდანაშაულო ადამიანს ფაქტიურად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მისი თქმით, ეს ადამიანი მისგან ზიზღის მეტს არაფერს იმსახურებს.მოლაშვილმა. მისივე შეფასებით, „ასეთ მოსამართლეებს არამარტო კანონის წინაშე, არამედ ღმერთის წინაშე აქვთ დანაშაული ჩადენილი“. ზონდერ-ხროვის მოკლული ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი სოციალურ ქსელში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა უვადოდ განმწესების საკითხს ასე ეხმაურება. „გაოგნებული ვარ, მოლაშვილის, თეთრაძის, ნორა კვიციანის და ასე შემდეგ... მოსამართლეების უვადოდ დანიშ-

6 გვ.

„ახლა ისეთ რაღაცას ვიტყვი, რომლის ჩემს გარდა არავის სჯერა - საქართველო 30-40 წელიწადში შეიძლება მეორე შვეიცარია გახდეს“

4 გვ.

საქართველოშია. დღესაც, რუმინეთს უამრავი პრობლემა აქვს. ვერ ვიტყვით, რომ ავსტრიაში, საფრანგეთში და რუმინეთში ერთიდაიგივე სოციალური დაცულობა და პრობლემებია, მაგრამ მათ აქვთ მიზანი და ორიენტირი – საით მიდიან, ასევე, შესაძლებლობა თავი გამოიჩინონ. თუმცა, პრობლემებიც საკმაოდ შეექმნათ – მათი წარმოებების დიდი უმეტესობა დაიხურა, ხალხი უმუშევარი დარჩა. ევროპაში იყო პოლონელი ელექტრიკოსის და სანტექნიკოსის სინდრომი. ისინი მთელს ევროპას მოედვნენ, ასევე, რუმინელებმა, ბულგარელებმა, ხორვატიელებმა დაბალფასიანი, ნაკლებადპრესტიჟული შრომის ბაზარი აითვისეს. ეს პრობლემა არის. მთავარია, ჩვენ, ამ პრობლემების დაძლევაში თანმიმდევრულნი ვიყოთ. ის რომ დასავლური ინვესტიციები ქვეყანაში არ არის, ამას თავის ახსნა აქვს – მეტისმეტად რისკიანი გარემოა. იგივე, როცა საუბარია დიპლომატიური გზებით აქტიურობაზე – 25 წელი საკმარისი დროა იმისთვის, როგორმე რომელიმე მსოფლიო ბრენდის ფილიალის საქართველოში ამოქმედება შევძლოთ. არცერთი სერიოზული წარმოება საქართველოში არ არის. რატომ გამართავენ აქ მსოფლიო ბრენდები წარმოებას, როცა ჩვენზე იაფი მუშახელია ჩინეთში, ინდოეთში. ვამბობთ, მაღალი კრიტერიუმები უნდა დავაკმაყოფილოთ ევროკავშირში რომ შევიდეთო. მთლად ასეც არ არის. თუ ევროკავშირს და ნატოს დასჭირდება, ძალიან სწრაფად გაგვაწევრიანებენ, თუ მათი ინტერესების სფეროში მოვხვდით, უმალ მიგვიღებენ. მუშაობაა საჭირო.

– ბატონო ვაჟა, კიდევ ერთ საკითხზე მინდა მკითხველის ყურადღება მივიქციოთ. ბანკების დიდი ნაწილი, რომლებიც მოსახლეობას ტყავს აძრობენ, ევროკავშირის ქვეყნებიდანაა. ქვეყნიდან გასულთა დიდი ნაწილი ხომ სწორედ ამ ბანკების მიერ არის გაკოტრებული. ევროკავშირს არ შეუძლია, ამ მიმართულებით, გარკვეული რეგულაციების დაწესება?

– ესეც მთავრობის პრობლემა, თავსატეხია. კრედიტებზე მაღალი პროცენტები ნიშნავს, რომ ბანკებში კონკურენტული გარემო არ არის. ცხადია, ბანკები საქართველოში ყოვლისშემძლეები არიან. მათ უკან ვინ დგას, ჯერჯერობით, კიდევ არ ვიცით. მათი საკონტროლო პაკეტი გაედინება და ოფშორებში იკარგება. მაგალითად, არავინ იცის ვინ დგას „საქართველოს ბანკის“ უკან. აქედან გამომდინარე, ვერ გადაწყდა არაპროფილური აქტივებისგან ბანკების გამიჯვნა. მთელი საქართველოს ეკონომიკა ბანკების საკუთრებაა. „საქართველოს ბანკი“ ლამისაა მთელ საქართველოს ფლობს. როცა თქვეს ბანკებს არაპროფილური აქტივები უნდა გამოეყოსო, „საქართველოს ბანკმა“ საინვესტიციო ორგანიზაცია „ბი-ჯი-ე-ო“ შექმნა, ვითომ გამიჯნა, მაგრამ მან („ბი-ჯი-ე-ომ“) საქართველოს ბანკის კონტროლქვეშ მყოფი ყველა ბიზნესი გააერთიანა. ვთქვათ, გინდათ ღვინის წარმოება ააწყოთ და „საქართველოს ბანკში“ მიდიხართ, ამ დროს, იგი, ღვინის კონკრეტულ კომპანიას აფინანსებს, რომლის კონკურენტს თქვენ გინდათ რომ კონკურენცია შეუქმნათ. ამიტომ, მას ამ სფეროში ინტერესი აქვს და, რა თქმა უნდა, სესხს არ გაძლევთ. არადა, სხვასთან ვერ მიხვალ. ფაქტობრივად, საბანკო სფეროში ოლიგოპოლიაა.

ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა აუცილებელია, რათა ამით არამარტო ტურიზმი, არამედ სხვა სფეროც უზრუნველვყოთ. რისი წარმოებაც აქ შეგვიძლია, უეჭველად, უცხოური პროდუქცია ადგილობრივით უნდა ჩავანაცვლო თ. ამ მხრივ, მთავრობას გეზი აქვს, ერთ-ერთი მიმართულებაა „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ ამის შედეგები საზოგადოებამ არ იცის. ადგილობრივი წარმოების ჩანაცვლებაზე დაუსრულებელი დავებია. საქართველოში ძალიან ცოტაა ბიზნესმენი, რომელსაც წარმოების აწყობა შეუძლია. ჯერ აქ, უნდა იყოს პრესტიჟული ადგილობრივი წარმოება და მერე გავიტანოთ. მაგალითად, არსებობს ფირმა, რომელიც ამერიკული ბაზრისთვის სულგუნს აწარმოებს. გეზი, სლოგანი ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის ამ ხელისუფლებას აქვს, რაღაც კიდეც კეთდება, მაგრამ ეს არასაკმარისია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

უვადოდ დანიშნულო დამნაშავე მოსამართლეებო, ხშირად უყურეთ ფილმ „მონანიებას“ - მაინც ამოგთხრიან“

5 გვ.

ვნა, ეს ნიშნავს – საზოგადოების დაცინვას. გარდაცვლილების სულების მაინც არ შერცხვათ? და ამ მოსამართლეების სამართლიანი განაჩენების როგორ უნდა ვირწმუნოთ მომავალში, როცა ოდნავ სინდისმა არც კი შეაწუხათ და თავად სიამოვნებით გახდნენ უვადო მოსამართლეები, მათ რომლებმაც ასეთი სისატიკისთვის გაიმეტეს უდანაშაულო ადამიანები და სააკაშვილის ჯურღმულებში გაამწესეს“...

სიტუაცია იუსტიციის საბჭოში, როგორც ჩანს, ძალზე მძიმეა. საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი მას ასე აღწერს: „საკმაოდ ძველი ბიჭები გვყავს საბჭოში, სამწუხაროდ, საქმის გარჩევებიც მიდის... სერგო მეთოფიშვილმა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე და ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარეა, ამავე დროს საბჭოს წევრიც არის, ჩემგან პასუხები მოითხოვა იმაზე, თუ რატომ მივეცი მედიას კომენტარი, რომ ისინი ეთიკის ნორმებს არღვევენ... ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც ისინი დღეს ახორციელებენ, არის საშიში, ვინაიდან ცდილობენ, რომ გააჩუმონ სხვა წევრები, რომლებიც საერთოდ რამეზე საუბრობენ და ამავე დროს კრიტიკულები არიან“ გამორიცხული არაა, რომ „ხელის ბიჭებს“ იუსტიციის საბჭოში, ჩვეულებისამებრ, პატარა გესტაპოს შექმნა სურთ.“გესტაპოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს, რომ ჩვეულებრივი კრიმინალური ბანდა აქვთ შექმნილი, ფაქტია. საინტერესო ბიოგრაფიებით და ქონებრივი დეკლარაციებით. აღსანიშნავია, რომ კარიერული „აღმაფრენა“ სწორედ „მიხეილის კურთხევის შემდგომ ეწყებათ“ ნაწილის- განათლებამ საერთოდ საგონებელში ჩამაგდო. მოკლედ საბჭოს ნომერ პირველი ამოცანაა ნებისმიერ ფასად, თუნდაც გვამებზე სიარულის გაგრძელებით, ყველა ზონდერ მოსამართლე უვადოდ დაინიშნოს. მოსამართლის კანდიდატის შერჩევა ორი ძირითადი კრიტერიუმის -კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის საფუძველზე ხდება. კეთილსინდისიერებაა ღრმა სოფლიდან გადმობარგება და ქალაქის ცენტრში რამოდენიმე სასახლის წამოჭიმვა. (სოფელში 2008-წლის ომის დროს დამალვა) ხოლო კომპეტენტურობა გაურკვეველი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება ან თსუ -ში სამოსნობა! სწორედ, ქართველი ხალხის წამების, უდანაშაულოდ ციხეში ჩალპობის, ძარცვის, მათი საერთაშორისო ნორმებით და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების აყრის შედეგად გამდიდრდნენ ის მოსამართლეები რომლებიც გააფრთებით იბრძვიან დღეს საკუთარი ოჯახის საკეთილდღეოდ უვადო მოსამართლის მანტიისათვის. რამდენი ადამიანი გაამწარეს და დაასამარეს და რამდენს კიდევ გაუყენებენ უსამართლობის მორევს. არ არსებობს არც ერთი მოსამართლე, რომელმაც მომხდარის გამო სინანული გამოთქვა ან თუნდაც სასამართლოდან წავიდა. გირგვლიანის საქმის მოსამართლემ გიორგი ჩემიამ 2016 წელს სცადა, მოსამართლე მეორედ ვადით გამხდარიყო, ხოლო ლევან მურუსიძე თავის თითოეულ გადაწყვეტილებას ამართლებს. როდესაც მათ „ზონდერ-მოსამართლეებს“ უწოდებენ, სწყინთ, ვის ვანდობთ ადამიანების ბედს, ამ მოსამართლეებმა უნდა განსაზღვრონ თუნდაც დამნაშავეების მომავალი? რეპრესიებში მონაწილე მოსამართლეებს რომელიმე თავმოყვარე ქვეყანა აიტანდა? გავრცელებული ინფორმაციით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დღესაც მურუსიძის ლანდი მართავს და განკარგავს. რაც შეეხება საბჭოს მდივანს გიორგი მიქაუტაძეს პრესაში (და არამარტო) გავრცელებული ინფორმაციით, ფიზიკური დაზიანება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა 13 წლის მოზარდს და ამ ფაქტის დასაფარად ბავშვის მშობლები დაიპატიმრებინა, მემუქრებოდნენო. ამის შემდეგ მიქაუტაძე დააწინაურეს და დღეს იგი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანიცაა. ბავშვის ცემის ფაქტზე აღძრული საქმე თავისი ექსპერტიზის დასკვნით და ვიდეოკადრებით მეორე წელია სეიფში განისვენებს, ხოლო მშობლების მიმართ აღძრულ საქმეზე მათი ბავშვის მცემელი მიქაუტაძე დაზარალებულადაა ცნობილი. ბავშვის ორივე მშობელს 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ემუქრებოდა პროკურატურა, თურმე შვილის სისხლის დანახვით გამწარებულ დედას რაღაც სიტყვები უთქვამს მიქაუტაძეზე, რასაც ჯგუფურად ჩადენილი მძიმე დანაშაული დაარქვეს და დევნის და ზეწოლის შედეგად ნაცემი ბავშვის ოჯახმა ქვეყანა დატოვა, მაგრამ იუთუბიზეც დატოვა სამახსოვროდ ცემის და დევნის დამადასტურებელი ჩანაწერები...გასულ წელს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, გიორგი მიქაუტაძის მეუღლე, მაია კვირიკაშვილი, როდესაც მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა ეკა ციმაკურიძემ განმარტა, რომ საბჭოს მდივანს აშკარა ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა, რადგან ერთ-ერთი კანდიდატი მისი მეუღლე გახლდათ და აუცილებელი იყო გიორგი მიქაუტაძის ამ პროცესისგან აცილება. ეკა ციმაკურიძის თქმით, მოსამართლეთა შერჩევის პროცესი დახურულია, ამიტომ მაია კვირიკაშვილის მოსამართლედ დანიშვნის შემთხვევაში, კანდიდატთა სამართლიანობის პრინციპით შერჩევის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. რასაკვირველია საბჭოს მდივნის მეუღლე საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გახდა, მაია კვირიკაშვილის თქმით, ეჭვი იმის შესახებ, რომ მის არჩევაში მისივე მეუღლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე რაიმე ფორმით მონაწილეობდა, საფუძველს მოკლებულია... ავი ენები ამბობენ, რომ საბჭოს წევრები ირაკლი შენგელია და ლევან თევზაძე სიძე-ცოლისძმა ყოფილან...მოკლედ იუსტიციის საბჭოა საქულას დუქანი თუ სპეცდავალებების შემსრულებელი კრიმინალური ბანდა გასარკვევია, მაგრამ გარკვევის კომპეტენტური მსურველები, რომ არ ჩანან სამწუხაროა! დამაფიქრებელია, რატომ ირჩევენ სასწრაფო წესით რეპრესიებში მონაწილე მოსამართლეებს უვადოდ? რისთვის ემზადებიან სისხლში ნაჭყუმპალევი, გვამებზე მოსიარულე, მეცამეტე ლეგიონის მოსამართლეები? შტურმში, ემანდ მათი გამპრავებლებიც არ მოხვდნენ.

დაბოლოს საბჭოს მოსამართლე წევრებს და მათ დანიშნულ „უვადოებს“ ვურჩევდი ხშირად და აზრიანად უყურონ ფილმ „მონანიებას“ და კარგად გაიაზრონ თავის მომავალი. იქნებ რაიმე შეცვალონ, რომ წყალი სისხლად არ ექცეთ და პური მიწად.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ჯალათები და მწამებლები, საქართველოს გარდა, არცერთ ქვეყანას არ შეუწყალებია

გვესაუბრება ადვოკატი ბრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით არაერთხელ დაადასტურა, რომ ნაცრეჟიმის პერიოდში ხშირად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხდებოდა უფლებამოსილების გადამეტება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში მაინც უკმაყოფილება სუფევს. რა არის ამის მიზეზი?

— მართალი ხართ, სტრასბურგის სასამართლომ, ფაქტობრივად, ღიად დაადასტურა, რომ წინა რეჟიმი კრიმინალებსა და მწამებლებს მფარველობდა. საერთაშორისო სასამართლომ არაერთხელ გააკრიტიკა მკაცრად, როგორც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, საერთოდ, მართლმსაჯულება. რაც მთავარია, პირადად ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელმაც შეიწყალა მკვლელი-მწამებლები ისე, რომ მინიმალური სასჯელიც არ მოახდევინა.

— მისი მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ჰქონდა და აქვს შეწყალების უფლებამოსილება.

— გეთანხმებით, შეწყალების უფლებამოსილება ყველა ქვეყნის პირველ პირს აქვს. აქ მთავარი ის გარემოებაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მწამებელი დამნაშავეები მსოფლიოს პროგრესულ ქვეყნებში არ შეუწყალებიათ.

საქმე „გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ გახლდათ, ფაქტობრივად, სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში განხორციელებული რეფორმების ექსპერტიზა, რამდენად სამართლიანი იყო იმ პერიოდში მართლმსაჯულების სისტემა, ვიცით, რომ დღევანდელი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რათა ეტაპობრივად აღმოფხვრას და გამოასწოროს ხარვეზები. გირგვლიანის საქმიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ სააკაშვილი დაუსწრებლად გაასამართლა და სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ვიმეორებ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მკაცრად იქნა გაკრიტიკებული სააკაშვილი, რომელმაც მკვლელი-მწამებლების შეწყალებით ხელი შეუშალა მართლმსაჯულების აღსრულებას. თუმცა, ეს პოლიტიკური აქტი გახლათ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმი ხელს უწყობდა ჯალათების წახალისებას.

— მხოლოდ გირგვლიანის საქმეში ჩაერია და გადაამეტა თავის უფლებამოსილებას სააკაშვილმა? რამდენადაც ცნობილია, სხვა საქმეებშიც ჰქონდა ცხვირი ჩაყოფილი.

— დავინტერესდი სააკაშვილის რეჟიმის დროს განხორციელებული შეწყალების აქტებით. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სააკაშვილის მიერ 2013 წლის ივლისში თენგიზ გუნავას შეწყალებამ. გუნავას წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. მას შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში სახელმწიფო თანხების გაფლანგვას ედავებოდნენ. პირველი ინსტანციის სასამართლომ გუნავას სასჯელიც დაუწესა პატიმრობის სახით. თუმცა პროკურატურამ განაჩენი გაასაჩივრა, რადგან სასჯელის ზომა უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე სააკაშვილმა შეიწყალა გუნავა და ნასამართლეობაც მოუხსნა. საკითხის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: პირველი ინსტანციის სასამართლომ გუნავას პატიმრობა მიუსაჯა (ამ შემთხვევაში ვადას მნიშვნელობა არა აქვს), 2012 წელსვე ამნისტიით მას შეუმცირდა სასჯელის ვადა. ყოფილი პრეზიდენტი შეწყალების აქტით უხეშად ჩაერია მართლმსაჯულებაში, რომელიც პოლიტიკური აქტი გახლდათ. პირველი ინსტანციის განაჩენი გასაჩივრებული გახლდათ, ხოლო სააპელაციო სასამართლო სხდომები დაწყებული არ იყო. ფაქტობრივად, გუნავა ჯერ კიდევ ბრალდებულის სტატუსით იყო. გარდა ამისა, შეწყალება ხდება იმ შემთხვევაში, როცა პირს უკვე მოხდილი აქვს სასჯელის ერთი მესამედი. გუნავას საქმეში სააკაშვილმა გამოიჩინა არა მარტო მართლმსაჯულებისადმი უპატივცემულობა, როდესაც ერთპიროვნულად მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება, არამედ დაარღვია და უგულებელყო სისხლის სამართლის ნორმები თუნდაც იმით, რომ გუნავას მოუხსნა ნასამართლეობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნით მხოლოდ სასჯელის მოხდის შემთხვევაშია შესაძლებელი პირისთვის ნასამართლეობის მოხსნა. როგორც ვხედავთ, გუნავას საქმეშიც უამრავი დარღვევაა. ისევე, როგორც გირგვლიანის საქმეში. არავინ უარყოფს, პრეზიდენტს აქვს უფლება, შეწყალების აქტი გამოსცეს, რომელიც ჰუმანური უნდა იყოს, მაგრამ მართლმსაჯულების აღსრულებას და განხორციელებას ხელი არ შეუშალოს.

— დარღვევების აღმოჩენა ერთი საკითხია, მაგრამ რას აპირებთ მომავალში? გაასაჩივრებთ თუ მხოლოდ ფაქტის დაფიქსირებით შემოიფარგლებით?

— გუნავას საქმე ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიამ“ შეისწავლა. მასალები და საჩივარი საქართველოს იუსტიციის მინისტრის სახელზე შევიტანეთ, რათა მოახდინონ რეაგირება და თუ ჩათვლიან საჭიროდ, გადასცენ პროკურატურას დეტალური გამოძიებისთვის. თუმცა, ვფიქრობთ, რომ სააკაშვილის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება აშკარად იკვეთება. დანაშაულის ფაქტები თუ არსებობს, ეს უკვე პროკურატურის გამოსავლენია.

— ბატონო გრიგოლ, არ შეიძლება არ გკითხოთ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნებზე, რამაც ხმაური გამოიწვია. როგორც ადვოკატი, თქვენ როგორ შეაფასებთ ამას?

— დღევანდელი ხელისუფლების მიზანია მართლმსაჯულების რეფორმა, სასამართლოს დამოუკიდებლობის ამაღლება. როდესაც შეჯიბრებითობა მაღალია, ადვოკატისა და პროკურორის უფლებამოსილება, პროფესიონალიზმი იხვეწება. მოსამართლეთა უვავოდ დანიშვნას, მოგეხსენებათ, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნინო გვენეტაძე ხელმძღვანელობს. მისი მიზანია, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალი იყოს. ატეხილი აჟიოტაჟი, საჯარო გამოსვლები ჩრდილს აყენებს ამ ინსტიტუციას. საკანონმდებლო თუ სხვა სამთავრობო სტრუქტურებმა, რომლებმაც წარადგინეს და გაამწესეს იუსტიციის საბჭოს წევრები, მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ. არაერთხელ განმიცხადებია საჯაროდ, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების კვალდაკვალ განხორციელებულიყო მართლმსაჯულების მონიტორინგი. კერძოდ, მოსამართლეები, რომელთა გამოტანილი განაჩენი სტრასბურგში გაამტყუნეს, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ხელისუფლების დროს, ის მოსამართლეები ან უნდა გათავისუფლებულიყვნენ, ან ჯარიმები დაკისრებოდათ. მაშინ ჩემი აზრი იურისტების ნაწილმა მოიწონა, მოსამართლეთა ნაწილი კი ითხოვდა, მსგავსი სასჯელი იმ პროკურორებზეც გავრცელებულიყო, რომლებიც წაგებულ საქმეებს წარმართავდნენ, გამოძიებას თუ მოკვლევებს ახორციელებდნენ და სასამართლო პროცესებზე პირდაპირ ითხოვდნენ მათ დასჯას. თითქმის იმავეს ამბობენ და ითხოვენ ახლანდელი იუსტიციის საბჭოს წევრებიც.

გია ბურდული
551 71 27 07

„ლევანდოვსკის გიმნაზიის“ გვერდით ირანელები სასტუმროს აშენებენ

დაინაწილეს თბილისი ახლო თუ შედარებით შორებელმა მეზობლებმა, აღმშენებლის გამზირი თუ უკვე თურქულ-არაბული კვარტალის „სტატუსი“ მიენიჭა, „ზემელს“ კი ირანელები „უტევენ“. მავან ვაი-ქართველთა ხელშეწყობით, ამ ისტორიულ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით მოფენილ უბანს, სრული განადგურება ემუქრება, თუნდაც იმიტომ, რომ აქაურობასაც გადაუარა უკანონო მშენებლობების ტალღამ. თუ ვინმე შეეწინააღმდეგა, „მოღალატედ“ გამოაცხადებენ, ინვესტიციების მოზიდვას ხელს უშლისო და შეიძლება „ინვესტორმა“ უჩივლოს კიდეც „ინტრიგანს“, „აღმშენებლობაში“ ხელს მიშლისო და მატერიალური ზარალის გადახდაც მოსთხოვოს. ქართველ ჩინოვნიკებს კარგად რომ ეხერხებათ მღვრიე წყალში თევზის ჭერა, ბარნოვის ქუჩის დასაწყისსა და მის შემოგარენში მიმდინარე პროცესებიც მოწმობს. როგორც ჩანს, არც კულტურისა და განათლების სამინისტროების ხელმძღვანელობებს ანაღვლებთ, რა საფრთხე ემუქრება (სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) „ლევანდოვსკის გიმნაზიის“ სახელით ცნობილ 49-ე სკოლას და მის მოსწავლეებს, რადგან ბარნოვის ქუჩის მცხოვრებნი წლებია ამაოდ ითხოვენ გაჩერდეს სკოლის გვერდით უკანონო მშენებლობა. ერთ-ერთმა იქ მცხოვრებთაგანმა, ინჟინერმა და პედაგოგმა მედიკო ბოჭორიშვილმა წერილობით მიმართა დედაქალაქის მერიას, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღია.

მედიკო ბოჭორიშვილი: დავით ნარმანიამ თანამდებობიდან წასვლის წინ, 2017 წლის 5 ოქტომბრის №1–2186 ბრძანებით, კალაძის საარჩევნო პროგრამების სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც მომაკვდავ ერთა ხუთეულის თავში მყოფი ქვეყნის ბავშვთა ინტერესებზე წინ, ირანელი მოქალაქის კერძო ინტერესები დააყენა. სკოლას, რომელსაც 111 წლის ისტორია აქვს, პრაქტიკულად ესპობა ნორმალურად არსებობის საშუალება ესპობა, რადგან სკოლის სამსართულიან შენობას ერთადერთი მზიანი ფანჯრების მხრიდან ირანელის ხუთსართულიან სასტუმროს უშენებენ.

ბარნოვის ქუჩის ეს მონაკვეთი ძალიან დამრეცია, ზამთარში მოაჯირის გარშე თითქმის ვერ გაივლით, სასტუმროს ავტოსადგომთან ერთად, ავტოფარეხიც ექნება, ასე რომ ტროტუარზე ჩაყოლებულ მოაჯირს ორ ადგილზე ჩაჭრიან და მოაშიშვლებენ იქაურობას. ვეკითხები დედაქალაქის ხელმძღვანელობას და სხვა უწყებებს, ბავშვებმა უსაფრთხოდ როგორ უნდა იმოძრაონ, ზემოდან მომავალი მძღოლი ვერც ხედავს სკოლასთან რა ხდება, უცბად რომ გადმოვიდეს ბავშვი უმოაჯირო ტროტუარიდან სავალ ნაწილზე, ხომ გასრისავს, მძღოლის დასჯა უშველის იმ ბავშვს? სასტუმრო ფუნქციონირებას რომ დაიწყებს, ცხადია, ხმაურიც მოიმატებს. ამ სასტუმროებს რეალურად რა „ფუნქციაც“ აქვს, ყველამ კარგად ვიცით, ცხვირწინ რომ აუშენებ ამ ე.წ. სასტუმროს ფანჯრებით სკოლისკენ, რას უნდა უყურონ ბავშვებმა, ვიღაცების პირადი ცხოვრების პიკანტურ მომენტებს? რამდენი ირანელი დაიჭირეს ნარკოტიკის შემოტანა-რეალიზაციის ფაქტზე, რა გარანტია გვაქვს, რომ მოსწავლეებს არ ჩაითრევენ ნარკოტიკის მოხმარებაში?

მედიკო ბოჭორიშვილი: ბარნოვის ქუჩის დასაწყისი და მისი შემოგარენი ძველი თბილისის ნაწილია, ძალიან საინტერესოა, რორგორც ლანდშაფტური, ისე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისი თ. ბარნოვის №2 200 წლის წინ არის აშენებული, მის მეპატრონეს ლოსაბერიძეს მეორე სართულზე სტამბა ჰქონდა გამართული, იაკობ გოგებაშვილი ამ სტამბაში ბეჭდავდა თავის „დედა ენას“. ეს ულამაზესი, ღია აივნებიანი სახლი ქართული არქიტექტურის ნიმუშია. მისი გაგრძელებაზეა სახლი უნიკალური დახვეული ხის კიბით, სხვათა შორის, რამდენიმე ქართულ ფილმშია გადაღებული ეს კიბე. დღეს ეს კიბე ავარიულ მდგომარეობაშია, ასვლა არ შეიძლება, მაგრამ უცხოელებისთვის მაინც ძალიან საინტერესოა, მოწონთ და ფოტოებს უღებენ. ბარნოვის №4–6 სახლებიც კულტურის ძეგლებია, მაგრამ მაინც გაყიდეს, მხოლოდ მიწის სამუშაოებზეა ნებართვა გაცემული (2007 თუ 2008 წელს) და რის აშენებას აპირებს ახალი მფლობელი, კაციშვილმა არ იცის. მომდევნო სახლის ყიდვა იტალიელებს უნდოდათ, მაგრამ რომ დაათვალიერეს, უარი თქვეს, ამის ხელის ხლება არ შეიძლება, მომავალ არქიტექტორები ამ სახლის მაგალითზე უნდა გაიზარდონო. ახლა ამ სახლს ზემოდან ირანელის სასტუმრო „უტევს“, მეორე მხრიდან 20 მეტრი სიღრმის სასაძირკვლე ქვაბული. კომპანია „ემ კვადრატი“ აპირებს რაღაცის აშენებას. ადგილობრივი არჩევნების დროს ელენე ხოშტარია მოვიდა, ვითომ ჩვენს დახმარებას აპირებდა, მართალი ხართ, როგორ შეიძლება არქიტექტურული ძეგლების ხელყოფაო. მერე ეტყობა გაარკვია, რომ მშენებელი მისი ქმრის კომპანია იყო და აღარ გამოჩენილა.

60 ყველაზე რთული ადგილია მონიშნული თბილისის რუკაზე და ხსენებული ფერდობი პირველ ადგილზეა. ორჯერ ჩამოინგრა აქ გრუნტი, პირველად 1974 წელს ჩამოინგრა, როცა სოლოლაკი-ზემო ვერის დამაკავშირებელი ქუჩა (ჭონქაძე) შენდებოდა და მუშები ცოცხლად დამარხა. სპეციალისტებმა ეს ანდროგენური ფაქტორით, ანუ სახიფათო ზონაში გაუთვალისწინებელი ჩარევის მიზეზით ახსნეს. მერე იქ ბენზინგასამართი სადგური ააშენეს, მეორედ 2005 წელს ჩამოიშალა ქანები და ეს სადგური მომსახურე პერსონალიანად ჩამარხა. ამ ფერდობის გაგრძელებაა ყოფილი ელბაქიძის ქუჩა, სადაც რამდენიმე წლის წინ სავალი ნაწილი მთლიანად ჩაინგრა. ეს იმიტომ მოვყევი, რომ რომ ორ სახლს შორის არსებულ მწვანე ზოლს უფრო ნიადაგშემაკავებელი ფუნქცია ჰქონდა, რომელიც ორი მხრიდან იყო ამოშენებული ქვის კედლით. ეს ტერიტორია თბილწყალკანალს ეკუთვნოდა, სტრატეგიული დანიშნულების გამო, მისი გასხვისება არაფრით არ შეიძლებოდა, მაგრამ ცნობილი „პრიხვატიზაციის“ დროს გაყიდეს, ხეები მოჭრეს და გაანადგურეს იქაურობა. რაიმე მცირე ბიძგიც საკმარისია, რომ ხსენებული ფერდობი კვლავ ჩამოიშალოს, რამ უნდა შეაკავოს 45 გრადუსით დახრილ ბარნოვის ქუჩაზე მეწყერი? აღარც სკოლა დარჩება იქ და არც ეს სასტუმრო სხვა სახლებთან ერთად. წყალსაჭირხნი მრავალტონიანი კოშკი იდგა, ისიც მოსპეს და ჯართად გაყიდეს, როგორც ბერიას დროს გაყვანილი საკანალიზაციო სისტემა.

ბოლოს ირანელზე გაასხვისეს, ვერც იმან შეძლო მშენებლობის დაწყება, ვითომ სამსართულიანი შენობა უნდა აეშენებინათ, მაგრამ იტყუებოდნენ. ამ ირანელმა ისევ თავის ტომელზე გაყიდა ეს ტერიტორია, მაყაშვილის სახლი რომ დაანგრიეს, მაშინღა დავინახეთ, რომ თურმე სკოლის კედელი რამდენიმე ადგილზე ჰქონდა გამონგრეული და კოჭები შეწყობილი და საძირკველიც გაშიშვლებული. ამ ყველაფერზე სკოლის დირექტორები ისე იყვნენ გაყუჩებულები და ახლაც ისე არის მოქმედი დირექტორი გაჩუმებული, რომ ბუნებრივად ჩნდება უამრავი

10 ბ.

აზარტული თამაშები – ქვეყნის მთავარი უბედურება

კაზინოს ვალების გამო ლომბარდში ბინებისა თუ მანქანების ჩადება, ბანკიდან სესხების აღება და სუიციდი ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა

უფროს თობას მშვენივრად ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირის დროს, აზარტული თამაშები კანონით აკრძალული იყო და მხოლოდ იატაკქვეშეთში არსებობდა. კაზინოების ლეგალიზაცია გარდაქმნის ეპოქის დადგომისთანავე დაიწყო. პირველი ლეგალური სამორინე „ორი ჯუჯა“ თბილისში 1990 წელს, ფილარმონიის ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნა. სათამაშო ბიზნესის იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შემდეგ, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. კაზინოს ვალების გამო ლომბარდში ბინებისა თუ მანქანების ჩადება, ბანკიდან სესხების აღება და სუიციდი ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თანამედროვე მსოფლიომ აზარტული თამაშებისადმი ავადმყოფური ლტოლვა (გემბლინგი) დიდი ხანია სოციალურ პრობლემად აღიარა, მედიცინამ კი მას დაავადებათა კოდირების საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ნომერი F63.0 მიანიჭა. იმ საფრთხეების მიუხედავად, რასაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება იწვევს, საქართველოში სათამაშო ბიზნესის რეგულირებაზე ჯერჯერობით, არც ერთ ხელისუფლებას არ უზრუნია. დღემდე არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს ფსიქოსოციალურ დახმარებას შესთავაზებს.

უკონტროლოდ მიშვებული სათამაშო ბიზნესსა და მისგან მომდინარე საფრთხეებზე სამოქალაქო საზოგადოება „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ დამფუძნებელი თამარ ჯაფარიძე გვესაუბრა:

— პროფესიით პედაგოგი ვარ და 25 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, უამრავი თაობა აღვზარდე, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს გემბლინგით და მისგან მომდინარე საფრთხეებით დავინტერესდი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემი უახლოესი ადამიანი ერთ-ერთი კაზინოს მახეში გაება და გარკვეული თანხის მოძიება დაჭირდა. მაშინ გავარკვიე, რომ ამ პრობლემით უამრავი ადამიანი იყო დაზარალებული და გამიჩნდა იდეა, რომ შემექმნა მოძრაობა, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს დაეხმარებოდა. მოძრაობამ, რომელიც ერთი წლის წინ შევქმენით, გემბლინგით დაზარალებული ადამიანები და მათ შესახებ ინფორმაცია მოიძია. კერძოდ, რამდენმა დაკარგა სახლ-კარი კაზინოებსა თუ სამორინეებში წაგებული ფულის გამო, რამდენმა თვითმკვლელობით დააასრულა სიცოცხლე და ა.შ. ეს იყო შემზარავი სტატისტიკა, რომლის თანახმად, საქართველოში ნახევარი მილიონამდე ადამიანი რეგისტრირებული მოთამაშეა. აქედან ნახევარი სკოლის მოსწავლე ან სტუდენტია. 2016 წლის გამოკითხვით, თინეიჯერულ ასაკში, აზარტულ თამაშებზე 15% გოგონა არის დაამოკიდებული და 44% ვაჟი. მხოლოდ ბოლო 8 თვის მანძილზე, აზარტული თამაშების გამო, კახეთში ორი თვითმკვლელობა მოხდა, ერთი ჭიათურაში, ერთი ხარაგაულის რაიონში, თბილისში და ა.შ. სტატისტიკის შედგენის პერიოდს დაემთხვა თბილისში მოზარდთა გახშირებული სუიციდის ფაქტები. აღსანიშნავია, რომ ჩვენ არა მარტო აზარტულ თამაშებზე გვაქვს ონლაინების ჩახსნის მოთხოვნა, არამედ ნებისმიერ აზარტულ თამაშზე, „ლურჯი ვეშაპი“ იქნება თუ თეთრი. ახალგაზრდა ადამიანების სიკვდილი ქვეყნის ტრაგედიაა ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვთ დაიბლოკოს ნებისმიერი ონლაინ ხაზი, რომელსაც ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის უბედურება მოაქვს.



— **სათამაშო ბიზნესის უკან დიდი ფული და გავლენიანი ადამიანები დგანან. მათთან შებრძოლება ბევრმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და თქვენ როგორ აპირებთ?**

— ჩვენი სტატისტიკური მონაცემები და მოთხოვნები საპარლამენტო უმრავლესობის წევრს **ლევან გოგიჩაიშვილს** გავაცანით. ბატონმა ლევანმა ყურადღებით მოგვისმინა და აღნიშნა, რომ ჩვენს მოსაზრებებს მთლიანად იზიარებს. ამის შემდეგ, მთავრობას ჩვენი მოთხოვნებით მივმართეთ და აქტიურად ჩავერთეთ კანონპროექტის შემუშავებაში. სამწუხაროდ, ფინანსთა სამინისტრომ იმდენად უსუსური კანონპროექტი წარმოადგინა, რომ საკანონმებლო ორგანომ უკან დააბრუნა. მოგეხსენებათ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გემბლინგი უმძიმეს დაავადებად აღიარა, რომელიც ნარკომანიაზე რთულად იკურნება და ამ დროს, სახელმწიფომ შემოგვთავაზა „გაშავების“ სამწლიანი პრინციპი. ჩვენ თავიდანვე ვითხოვდით, რომ ეს უვადო ყოფილიყო, რადგან სახელმწიფოს არც ფსიქო- სარეაბილიტაციო ცენტრები აქვს და არც იმის სურვილი, რომ ამ სამი წლის მანძილზე ადამიანს დამოკიდებულებისგან განკურნებაში დაეხმაროს. საზღვარგარეთ აზარტული თამაშების ბიზნესი ძალიან მყარ რეგულაციებშია მოქცეული და სახელმწიფო აკონტროლებს.

— **ყველას გვახსოვს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, აზარტული თამაშების შეზღუდვის პირობა დადო, თუმცა ძლიერი ლობისტების გამო, დაპირების შესრულება ვერ მოახერხა. 2013 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა და ქვეყნის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბათუმში კაზინოების აკრძალვის შესახებ განაცხადა და აღნიშნა, რომ ბოლო დროს, ბათუმი აზარტული თამაშების ცენტრად იქცა, თუმცა, ამ სფეროდან შემოსული ფული ბიუჯეტის მხოლოდ 1% შეადგენს, რის გამოც ქვეყნის იმიჯი არ უნდა შეილახოს..**

— დიახ, ასეა და არავინ იფიქროს, რომ სახელმწიფო ამ ბიზნესით აშენდა და აყვავდა. თუ ვინმე აშენდა, ეს ამ დაწესებულებების მფლობელებია, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა, პირიქით, დაზარალდა. აზარტულ თამაშებში ჩართულთა 70% წარმოადგენს საშუალო ფენა, რომლის ყოველთვიური ხელფასი საარსებო მინიმუმზე ოდნავ მეტია. იმის გათვალისწინებით, რომ ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი სათამაშო დაწესებულებებში მიედინება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ადამიანები ვეღარ ახერხებენ სამომხმარებლო ნივთებისა და პროდუქტების შეძენას, რაც ეკონომიკური კოლაფსის ერთ-ერთი ნიშანია. ბუნებრივია, ოჯახის შემოსავალის კლება საშესახებ მათთვისაც ცნობილია.

კაზინოს ვალების გამო ლომბარდში ბინებისა თუ მანქანების ჩადება, ბანკიდან სესხების აღება და სუიციდი ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა

მაგალითად, პორტუგალიას სამორინეებსა და ონლაინ თამაშებში 25 წლამდე ასაკობრივი ზღვარი აქვს დაწესებული, როცა ჩვენთან ეს ზღვარი 18 წლამდეა. რაც შეეხება ონლაინ-თამაშებს, აქ სახელმწიფო საერთოდ ვერ აკონტროლებს ვინ რეგისტრირდება მოზარდი თუ ზრდასრული..

— **გამოდის, რომ პორტუგალიას, სადაც ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია მოხდა, სათამაშო ბიზნესის მიმართულებით უფრო მკაცრი რეგულაციები აქვს?**

— პორტუგალიაში სახელმწიფო ნარკოტიკების სფეროსაც და სათამაშო ბიზნესსაც იმ დონეზე აკონტროლებს, რომ პრობლემები არ შექმნას. ჩვენთან კი ასეთი პრობლემების გამო, ადამიანები უსახლკაროდ რჩებიან და ბევრი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. აი, ახლა გვაქვს ფაქტი, რომ 60 წელს მიღწეულმა ადამიანმა აზარტული თამაშების გამო, თბილისში ორი სახლი დაკარგა. მეორემ წაგებული ფულის გადასახდელად, „ვივუსიდან“ ონლაინ სესხი მამის პირადობის მოწმობით აიღო, თანაც ისე, რომ მამას სესხის გატანაზე ხელი არ მოუწერია. არავისთვის ახალი არაა, რომ აზარტული თამაშების გამო დაზარალებული ადამიანები საბანკო ვალდებულებებს იღებენ და ხშირად უსახლკაროდ რჩებიან. დაახლოებით ერთი წლის წინ, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტს **გიორგი კეპულაძეს** ვესაუბრე და მითხრა, რომ ასეთი ფაქტების მომხმარებლო ხარჯების კლებას იწვევს, რაც თავის მხრივ, საქონლის და მომსახურეობის შემცირებას განაპირობებს. ყოველივე ეს მწარმოებელს აიძულებს შეამციროს ბაზრისთვის საქონლისა და მომსახურეობის მიწოდება და შედეგად, ვიღებთ მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, რაც უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო ბაზარზე. მერწმუნეთ, თუ აზარტული თამაშები არ შეიზღუდა და ზოგი არ აიკრძალა, თუ სათამაშო ბიზნესმა ისედაც გაღარიბებული მოსახლეობის გაყვლეფა გააგრძელა, ეს ეკონომიკურ კოლაფსამდე მიგვიყვანს. ამის თავიდან ასაცილებლად, სასურველია აზარტული თამაშის დაწესებულებებში დაწესდეს სივრცითი და ქონებრივი შეზღუდვა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს საშუალო ფენის ჩართულობა და მხოლოდ მაღალ შემოსავლიანი მოთამაშეები დაუშვან.

— **ქალბატონო თამარ, კაზინოებსა თუ სამორინეებში ძალით არავინ შეჰყავთ..**

— მათ ადამიანების მიზიდვის საკუთარი მეთოდები აქვთ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ იანვრის დასაწყისში ზესტაფონში, ცენტრალური ბაზრის შესასვლელში გახსნეს სამორინე და ყველა ზესტაფონელს გაუგზავნეს მესიჯი – თუ მობრძანდებით, 10 ლარს მიიღებთ საჩუქრადო. ალბათ, ბევრი მივიდა.. ასეთმა დაწესებულებებმა

10 გვ.

„ლევანდოვსკის გიმნაზიის“ გვერდით ირანელები სასტუმროს აშენებენ

8 გვ.

ეჭვი. თუ ის ირანელი კეთილსინდისიერი შემძენია, არაკეთილსინდისიერი გამყიდველი ხომ აგერ გვყავს, მოსთხოვონ პასუხი და მაშინვე გაირკვევა, რა და როგორ მოხდა. სამსართულიან შენობაზეა გაცემული საეჭვო დასკვნა და ხუთსართულიანს აშენებენ. სალომე ზურაბიშვილი ჩაერთო ამ საქმეში, რომელიც მოგეხსენებათ, მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატია, არ შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით მოფენილ უბანში უკანონო მშენებლობა ხორციელდებოდესო. შპს „თრიფელ ეის“ იურისტი ამ ჩარევამ ძალიან გააწიწმატა, ვინ ეკითხება ზურაბიშვილს, მაგ უბანში ცხოვრობს და პრობლემები ექმნებაო. რაზე შეიძლება ამის შემდეგ ელაპარაკო ამ კომპანიის ხელმძღვანელობას? მშენებლობა ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდათ, რომ იქ მომუშავე სატვირთო ავტომანქანა მკვეთრ დაღმართზე მოცურდა, მეზობლის „მერსედესიც“ დააზიანა და ბორდიურ-მოაჯირებიც. ამ კაცისთვის ზარალის ანაზღაურებას არავინ ფიქრობს. ჩვენ ამ კომპანიაზე მეტად, მთავრობასთან გვაქვს პრეტენზია, ფაქტობრივად დამალული აქვთ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიღებული დადგენილება, თქვენ წარმოიდგინეთ, „მშენებელთა ლიგასაც“ კი არ ჰქონდა ეს დოკუმენტი, ჩვენ გადავეცით. იქ გაწერილია სეისმომედეგობის თვალსაზრისით, რამხელა დაშორება უნდა იყოს სახლებს შორის, რომ მიწისძვრის დროს სახლის ნგრევით წარმოქმნილმა ნაგავმა არ დააზიანოს გვერდით მდგომი კაპიტალური შენობა. რამხელა დაშორება უნდა იყოს კულტურის და არქიტექტურულ ძეგლსა და სხვა შენობას შორის. ყველა კულტურის ძეგლს აქვს თავისი ვიზუალური და ფიზიკური დაცვის არეალი. ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყველაფრის აშენება, რაც დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს, გააუარესებს მის აღქმას და გამოყენებას. ხსენებული სასტუმროს მშენებლობა ფიზიკურადაც აზიანებს ბარნოვის ქუჩაზე არსებულ ძეგლებს, გავლენასაც ახდენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას. ჩვენ მარტო სიტყვით ვცემთ პატივს ჩვენ კულტურას თუ ღირსეულ წინაპრებს. ახლახანს ზარზეიმით აღნიშნა მერიამ იუნკერების და გმირი ქალის მარო მაყაშვილის ხსოვნა, ამ დროს სწორედ მარო მაყაშვილის სახლთან ხდება ეს უკანონობა და უზნეობა, რაზეც ყურს არავინ იბერტყავს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

აზარტული თამაშები – ქვეყნის მთავარი უბედურება

9 გვ.

ადამიანი ერთხელ თუ შეიტყუეს, მერე მისი მახეში გაბმის მეთოდები მშვენივრად იციან. სათამაშო ბიზნესის წესია, მოთამაშეს დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდეს. ამიტომ კაზინოში მზის შუქი არსაიდან შედის და საათებიც არსად კიდია. ეს არის შავი ბიზნესი, რომელსაც ნამდვილ ბიზნესთან საერთო არაფერი აქვს.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში, აზარტული თამაშებიდან გამომდინარე, 2354 კრიმინალური შემთხვევის ფაქტი დაფიქსირდა. წაგებული თანხა რომ გადაეხადათ, ზოგმა მოიპარა და განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა, ზოგმა სახლ-კარი დაკარგა, ზოგმა თავი მოიკლა და ა.შ. გემბლინგით დაავადებულები წაგების დროს აფექტის მდგომარეობაში ვარდებიან და აგრესიულები ხდებიან. ამ აგრესიას სათამაშო დაწესებულებაში ფსიქოლოგის ნაცვლად, დაცვის თანამშრომელი ხვდება, რომელსაც მოთამაშე შენობის გარეთ გაჰყავს და სასტიკად უსწორდება. რამდენიმე დღის წინ, მეტროსადგურ „სამგორთან“ მცხოვრები ადამიანები დაგვიკავშირდნენ, გვიშველეთ, გაუსაძლის მდგომარეობაში ვრთო. მათ სახლებთან ახლოს, კაზინო „კრისტალბეთი“ მდებარეობს და თითქმის ყოველ დღე, საშინელი სურათის მხილველები არიან. ამასწინათ, მოვაჭრე ქალებმა ძლივს გამოგლიჯეს დაცვას ბიჭი ხელიდან, თორემ ცემით კლავდნენო. სად არის ამ დროს სახელმწიფო და რატომ არ იცავს თავის მოქალაქეებს ასეთი განუკითხაობისგან?

— ყველაზე ხშირად რომელ სათამაშო დაწესებულებაში დაზარალებული ადამიანები გიკავშირდებიან და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

— ეს ერთი და ორი დაწესებულების კი არა, სისტემური პრობლემაა, რადგან სახელმწიფომ მართვის ყველა სადავე დაკარგა.. ჩვენს ორგანიზაციაში განხორციელებული ზარის შემდეგ, დავინტერესდი დ სამგორის მეტროსთან მდებარე „კრისტალბეთში“ შევედი. ნანახმა გული მომიკლა.. ორსართულიანი, უზარმაზარი შენობა მოუვლელი, ცუდად ჩაცმული ახალგაზრდებით იყო სავსე, რომლებიც უკანასკნელ კაპიკებს კაზინოში ტოვებდნენ. დავთვალე და 10 წუთში 6 ადამიანი შევიდა. გამოსვლით კი ერთი საათის შემდეგ, ორი ახალგაზრდა გამოვიდა. გავბედე და ვკითხე — მოიგეთ თუ წააგეთ მეთქი და ერთს 50 ლარი წაუგია და მეორეს 100 ლარი. არადა, წვიმიან ამინდში, ორივეს გახეული ფეხსაცმელი ეცვა...

რაც შეეხება გამოსავალს, უნდა აიკრძალოს სათამაშო ობიექტების ლიცენზირება და მშენებლობა, უნდა აიკრძალოს ონლაინ-თამაშების ვებ-გვერდები, რაც რეალურად, მინიკაზინოებს წარმოადგენს. უნდა დაიხუროს ყველა სლოტ-კლუბი და ტოტალიზატორი. კაზინოები უნდა მოექცნენ უმკაცრეს რეგულაციებში, უნდა მოხდეს მოთამაშეთა ერთიანი ბაზის შექმნა და ოჯახის წევრებს მიეცეთ უფლება, რომ მოთამაშე შავ სიაში შეიყვანონ. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში პერიოდულად უნდა ჩატარდეს სინფორმაციო კომპანია აზარტული თამაშების წინააღმდეგ. სახელმწიფომ უნდა შექმნას ფსიქორეაბილიტაციის ცენტრები, სადაც გემბლინგით დაავადებული ადამიანები იმკურნალებენ. მივმართავ ყველა დედას. იყავით ფხიზლად და ნუ შეგრცხვებათ ამ პრობლემის გამხელა. გავერთიანდეთ აზარტული თამაშების წინაღმდეგ, რომელიც დაავადებაა და შველა ჭირდება.

და ბოლოს, სტატისტიკური მონაცემებით, მხოლოდ კაზინო „აჭარაში“ ყოველდღიურად, 1000–1500 ადამიანი შედის. აზარტული თამაშებისადმი ავადმყოფური დამოკიდებულება მამაკაცებში უფრო ხშირია, თუმცა ქალებში უფრო მძიმედ მიმდინარეობს, რდგან ფსიქოთერაპიას გაცილებით ძნელად ემორჩილებიან. ქალებში გემბლინგს ხშირად თან ახლავს ფსიქიური აშლილობა, მამაკაცებში კი ალკოჰოლიზმი, ამიტომ ასეთი ადამიანები ადვილად ანგრევენ ოჯახებს და სამუშაო ადგილებს ხშირად იცვლიან.

ნელი თორდია
571 35 36 88

საქართველო გეოპოლიტიკურ ჩიხში

ფრთხილად ვიყოთ, რუსებმა წიფის გვირაბთან რკინის კარები არ ჩამოგვიკიდონ

„საერთო გაზეთში“ არაერთი ინტერვიუ გამოქვეყნდა მსოფლიოს ჩემპიონთან, ბატონ **რომან რურუასთან**. ამ ინტერვიუებში ბატონი რომანი კვალიფიციურად და საქმის ღრმა ცოდნით საუბრობდა ქართული პოლიტიკისა და ეკონომიკის პრობლემებზე.

ამჯერადაც გთავაზობთ საუბარს რომან რურუასთან, რომელიც ასევე მნიშვნელოვან და ჩვენი ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

— ბატონო რომან, რამდენადაც ვიცით, თქვენ გასულ წელს აფხაზეთში ბრძანდებოდით. რა ხდება იქ, რა სიტუაციაა, როგორ ცხოვრობენ, როგორ დაგხვდნენ?

— 90-იანი წლების იმ საშინელი ომის შემდეგ აფხაზეთში არ ვყოფილვარ. სულ მაწუხებდა და მაინტერესებდა იქაური ყოფა.

ისტორია ცნობილია, მაგრამ რომ გაანალიზო, ყველაფერი რატომ და როგორ მოხდა, უნდა ჩახვიდე, მიხვიდე იქ, სადაც ეს ამბავი მოხდა.

დაახლოებით ორი-სამი თვის წინ თბილისში სტუმრად იყვნენ აფხაზეთში მცხოვრები სპორტსმენები. იქ გავიცანი ერთი აფხაზი და ერთი ოსი სპორტსმენი. მათ დამპატიჟეს სოხუმში. მეც გადავწყვიტე ჩასვლა. ინგირის სასაზღვრო პუნქტთან დამხვდნენ ჩემი მასპინძლები. წამიყვანეს გალში და მერე გავემგზავრეთ სოხუმში.

როგორც აღმოჩნდა, ხმა გავრცელდა, საქართველოდან სტუმარი ჩამოგვივიდაო, შეიკრიბა საზოგადოება.

გულისტკივილით, მაგრამ საკუთარი უდანაშაულობის განცდით შევხვდი მათ. შეხვედრაზე ყოფილი „ბაევიკებიც“ აღმოჩნდნენ, რამდენიმე „გეროი აბხაზიიც“ იჯდა დარბაზში, რომელმაც, ალბათ, ქართველებთან ომში მიიღეს გმირობა...

შემდეგ სუფრა გამართეს — თავდაცვის სამინისტროს ყოფილ სანატორიუმში. ძალიან უბრალო, მოკრძალებული სუფრა იყო. სადღესასწაულოდ და გასართობად არ ვიყავით შეკრებილი.

— რაზე ისაუბრეთ?

— როგორ ვცხოვრობთ, რას ვაკეთებთ, რას ვაპირებთ, თუმცა, ბუნებრივია, საუბარი ომსაც შეეხო, იმას თუ რამ გამოიწვია კონფლიქტი — გაუგებრობა იყო ეს თუ სპეციალურად დაგეგმილი პროვოკაცია?!.

მე მქონდა კითხვები მათთან. ორივე მხარე ვაღიარებდით, რომ ურთიერთობებში პრობლემები პროვოცირებული იყო გარკვეული ძალებისგან.

აფხაზებთან საუბარში გავიხსენე გაგრა-თბილისის მატარებელი, რომელსაც სოხუმში ფანჯრები ჩაულეწეს.

ცნობილია, რომ ამ ინციდენტს კონსტანტინე ოზგანი ხელმძღვანელობდა.

ვინ იყო კონსტანტინე ოზგანი? — ვიკითხე მე. თვითონვე მიპასუხეს, თურქი იყოო. თურქს რა ხელი ჰქონდა, რატომ მიუშვით ამისთანა საქმეების დასატრიალებლად-მეთქი?!

ლოგიკურად, საუბარი მიმყავდა იქითკენ, რომ თურქულ სამყაროს, ჩრდილოეთი კავკასიის ჩათვლით, მუდამ ჰქონდა სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთის ხელში ჩაგდების ინტერესი.

ჩვენმა ისტორიულმა, უზარმაზარი ტერიტორიის მქონე რუსეთის სახელმწიფომ კარგად იცის, რა სურს მუსულმანურ სამყაროს.

ამ მოსაზრების დამადასტურებლად ერთ ამბავს მოგიყვებით.

1990 წელს ვახტანგ გოგუაძესთან ერთად სტამბულში ვიმყოფებოდი. ერთ საღამოს რუსეთის ელჩს შევხვდით. საუბარში არ ვერეოდი, თუმცა ჩემთვის ეს შეხვედრა დახურული არ იყო და ვისმენდი, რაზე საუბრობდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ ელჩს ვუთხარი: ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან-მეთქი. ეს ის პერიოდია, ბასაევი და გილაევი რომ „დასერნობენ“ აფხაზეთში და „ბაევიკებს“ აგროვებენ სოხუმში. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიელები უკვე არიან აფხაზეთში და ემზადებიან ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

მე ვიკითხე: რა უნდათ ჩრდილო კავკასიელებს აფხაზეთში-მეთქი? მიზნად ჰქონდათ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შექმნა. დედაქალაქად სოხუმი უნდა გამოცხადებულიყო.

ეს, თავისთავად, რთული საკითხი გახლდათ, რადგან სომხეთი და აზერბაიჯანი ამ ინიციატივას არ მიესალმებოდნენ, თუმცა, როგორც გითხარით, საქართველოში ეს აზრი მაშინ აქტიურად განიხილებოდა.

მაშინ მიდიოდა საუბრები იმაზე, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელ სუბიექტად გამოყოფოდა საქართველოს და ისე შეერთებოდა კონფედერაციას.

ამ მოსაზრებების მხარდამჭერები ფიქრობდნენ — რუსეთი იშლება, იგი საბოლოოდ დაინგრევა და ყველა ეთნოსი, მათ შორის, აფხაზებიც დამოუკიდებლობას მიიღებენო. ჩრდილოეთ კავკასიელი მებრძოლები ამ პერიოდში დაბანაკდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

მანამდე ფსოუს ყარყარაშვილი და კიტოვანი მიადგა და დალიეს იქ ცივი წყალი...

უკან გამობრუნებულებმა კი რაც გზაზე შეხვდათ, ყველაფერი გადაწვეს. ერთ სახლს ვერ ნახავთ, გაუდაბურებულია საზღვრისპირას ყველაფერი. ხეხილი არაა, ნახნავნათესი და არაფერი. რომელიღაცა ჯიშის ყვითელი ყვავილი ხარობს, უვარგისი სარეველა, იმითაა მოფენილი იქაურობა.

მე ვფიქრობ, ნამოსახლარები ქართველების იყო, რადგან აფხაზეთის არავითარი დამოუკიდებლობა არა აქვს. იქ რუსეთის გარეშე არაფერი არ ხდება და არც მოხდება.

— ბატონო რომან, კვლავ დადგა დღის წესრიგში საკითხი — ნატოში შესვლა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე.

— იდიოტია ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ოდესმე ნატოში შევა საქართველო.

თქვენი აზრით, რუსეთი თავისი ხელით გამოიჭრის ყელს?

გასული საუკუნის ბოლოს რა არ ვუწოდეთ რუსეთს, რა აღარ მოვიმოქმედეთ, სიტყვებით ვერ აღწერ იმას, რაც რუსეთის მიმართ ჩავიდინეთ, ხოდა, გავიდა მათი ჯარი, მაგრამ თქვა, იყავით ნეიტრალური, არც ერთი ქვეყნის ჯარს თქვენს ტერიტორიაზე ნუ დააყენებთო.

ევროპა გვინდაო, გაიძახის ზოგიერთი.

ზების რომ ყოფილიყო, მოახერხებდნენ ამდენ ხანში სახლ-კარის და მიდამოს აღორძინებას...

— თქვენ რას ფიქრობთ, რატომ გადაწვავდნენ ქართველი მებრძოლები სახლებს?

— საქმე იმაშია, რომ ჩვენ მაშინ არ გვყავდა რეგულარული ჯარი. ჯარისკაცს, როგორც წესი, არ ასწავლიან მოსახლეობის ჟლეტას. მაშინ საქართველოში იყო მოხალისეებით შექმნილი შენაერთები — „თეთრი გიორგი“, „მხედრიონი“ და ა. შ. რა მიზნები ჰქონდათ მათ, თვითონ განსაჯეთ.

— ქვეყანას იცავდნენ, ბატონო რომან.

— რისი დამცავები იყვნენ ან ვისგან იცავდნენ ეს მშიერმუცელა მონები?

— რუსებისგან.

— რუსები მერე შემოვიდნენ, როცა დაინახეს, ჩრდილო კავკასიელებით რომ გაივსო იქაურობა.

გავაგრძელებ იმ ისტორიას, თურქეთში რუსეთის ელჩს რომ შევხვდით. ელჩს მაშინ ვკითხე: რა ინტერესი აქვთ ჩეჩნებს აფხაზეთში-მეთქი?

— ზღვაზე გასასვლელიო, — მიპასუხა მან.

მე კვლავ ვკითხე:

— რუსეთი ამას დაუშვებს?

— არასოდესო, — მითხრა მან და ტუჩზე თითი მიიდო, სიჩუმის ნიშნად.

ტყუილად კი არ ამბობს ერდოღანი, აჭარა თურქეთის ნაწილიაო. მუსულმანური სამყარო შეერთებისთვის იბრძვის — ჩრდილოეთი კავკასია, აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთისკენ მიისწრაფვიან.

ძალიან კარგი. ყველას გვინდა ევროპა, მაგრამ ხომ უნდა გაითვალისწინო რეალობა, რომელიც წინ გიდგას?! ჩვენ გეოპოლიტიკურ ჩიხში ვართ მოქცეული.

დაიშლება რუსეთიო.

კარგი, ბატონო, მაგრამ რას ვაპირებთ მერე? რატომ არ გვახსოვს ჩვენი დიდი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის მიერ დატოვებული „ფორმულა“ — მამული, ენა, სარწმუნოება? ახლა ის ჟამი გვიდგას, რომ პირველ რიგში სარწმუნოება უნდა დავაყენოთ, ანუ სარწმუნოება, მამული, ენა.

სარწმუნოება არის ის ძალა, რომელიც ვერ დაამარცხა და გაანადგურა ვერც ირანმა, ვერც არაბეთმა, ვერც ოსმალეთმა და ათასმა ურჯულომ.

თუ რუსეთი განადგურდება, ანუ ყველაზე ძლიერი მართლმადიდებლური ქვეყანა თუ აღარ იქნება, ამ გარემოცვაში ერთადერთი, გასანადგურებლად განწირული, დაუძლურებული მართლმადიდებლური ქვეყანა ვიქნებით ჩვენ.

არავის ვაგინებ, არც ამერიკას, არც ევროპას. მშვენიერი ქვეყნები და სახელმწიფოები არიან, მაგრამ საქართველოს შველა მათ არ შეუძლიათ.

ვიღაცებს სურთ შევიდეთ სამხედრო ალიანსებში და აქ, ჩვენს ტერიტორიაზე განვათავსოთ უცხო ძალების თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობა.

ჩვენი ქვეყანა სარაკეტო ზონა არაა, ბატონებო. ერთი ციცქნა ქვეყანაა, ერთადერთი პატარა მართლმადიდებლური საყრდენი მუსულმანურ გარემოცვაში.

კიდევ ვიმეორებ, საქართველო ნატოში ვერ შევა, მაგრამ თუ ასეთი რამ მართლა მოხდა, ერთ საათში წიფის გვირაბთან რკინის კარს ჩამოგვიკიდებენ და დავემშვიდობებით გურიასაც, აჭარასაც, სამეგრელოს კი, თავისთავად, აფხაზეთი მიიერთებს.

შემთხვევით კი არ უთქვამს ელცინს — დასავლეთში გამსახურდია უნდა იყოს და აღმოსავლეთში შევარდნაძეო.

არც ჟირინოვსკის წამოსცდენია ზერელედ სიტყვები: ჩვენ არ გვაქვს საზღვრები საქართველოსთან, ჩვენ გვაქვს საზღვარი თურქეთთანო.

— როგორ უყურებენ ამ ამბებს აფხაზეთში?

— მე დავრწმუნდი, რომ აფხაზეთს არავითარი დამოუკიდებლობა არა აქვს. იქ რუსეთის გარეშე არაფერი არ ხდება და არც მოხდება.

ჩვენ მოვატყუეთ რუსეთი, როცა ვთქვით, რომ ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარებს არ განვათავსებდით. მეორედ მათ ვეღარ მოვატყუებთ. თუ ხტუნაობას თავს არ დავანებებთ, დასავლეთ საქართველოს საზღვარს გვირაბამდე და შესაძლებელია, ხაშურამდეც გადმოსწევენ, რადგან ცხინვალი განზე რჩება, საზღვარს გააკეთებენ ხაშურთან, დასავლეთ საქართველოსთან გააერთიანებენ და ვიჯდეთ ჩვენ თბილისში გამოკეტილი.

გახსოვთ, ალბათ, აფხაზეთში ჩემს სტუმრობასთან დაკავშირებით გარკვეული ხნის წინ ინტერვიუში ვისაუბრე.

იქ ვთქვი: მე აფხაზეთში კიდევ წავალ, რადგან ჩამესვლება-მეთქი. უცნობმა დამირეკა და მეკითხება: როგორ ფიქრობთ, აფხაზეთში ჩვენ არ ჩაგვესვლება?

— მე რომ ჩამესვლება, ვიცი და თქვენი ამბის მე რა მოგახსენოთ-მეთქი.

— თქვენ რატომ ჩაგესვლებათო?

— მე ცოდვა არ მაწევს-მეთქი.

— ე.ი. ჩვენ ცოდვილები ვართო?

— ეს თქვენ გეცოდინებათ-მეთქი, — ვუპასუხე.

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ყველას აქვს უფლება, ჩავიდეს აფხაზეთში, ვისაც იქ საშინელი ცოდვები არ აქვს დატრიალებული.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„იმდენი აფერისტობა და უნამუსობაა დაფიქსირებული „ფარმაცევტული სახლი+“-ის მიერ წარმოდგენილ „დოკუმენტებში“, 20 არამზადას ეყოფა ცალ-ცალკე საცხედ“

გასულ კვირას „საერთო გაზეთის“ რედაქციამ მიიღო ფარმაცევტული კომპანია „სალხინოს“ გენერალური დირექტორის როინ ნაჭყებიას წერილი, სადაც მოთხრობილია კომპანია „სალხინოს“ 5-წლიანი დავის ეპოპეა „ფარმაცევტული სახლი+“-თან.

გთავაზობთ წერილს და აქვე ვბეჭდავთ „ფარმაცევრული სახლი+“-ის ადვოკატის ტარიელ ჩოჩიშვილისა და „სალხინოს“ დირექტორის როინ ნაჭყებიას კომენტარებსაც.

●

„საერთო გაზეთის“ რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას!

30 წელიწადია ტრადიციულ მედიცინაზე ვმუშაობთ. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს დარგი არ დაკარგულიყო.

ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ წამლებს „სალხინოს“, „ფერდსა“ და „ბად-ანტიოქსიდანტს“.

უძველესი დროიდან მოდის ამ წამლების შემადგენლობა. კოლხი მედეას სამშობლოში დავიბადე და ჩემთვის ეს სამკურნალო საშუალებები წინაპრებიდან იყო ცნობილი. ტრადიციული მედიცინა რომ არ დაკარგულიყო და ჯანმრთელობის სამინისტროს ედიარებინა, ამისთვის 30 წელიწადი ვიბრძოლეთ.

ახლახან 2015 წელს პატრიარქის კურთხევითა და თხოვნით ხელისუფლებამ განაცხადა — გავაძლიერებთ ტრადიციულ მედიცინასო. ამას მოჰყვა ტრადიციული მედიცინის ცალკე დარგად გამოყოფა და ჯანდაცვის სამინისტროს განცხადება: ამ დარგს ხელს შევუწყობთო. თუმცა სიტყვები სიტყვებად დარჩა, არადა, უნდა ითქვას, რომ წამალი „სალხინო“ უნიკალური შესაძლებლობებისაა.

კლინიკური კვლევები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთის ქალაქებში და უკრაინაშიც გვაქვს ჩატარებული, სომხეთში, აზერბაიჯანში უამრავი ადამიანი განკურნეთ და ვიხსენით მტანჯველი დაავადებებისგან.

მცენარე, რომელისგანაც „სალხინოს“ ვამზადებთ, სამეგრელოში, ძირითადად, მთის ფერდობებზე იზრდება. იგი კურნავს რბილი ქსოვილების ჩირქოვან დაავადებებსა და აქრობს ორგანიზმში ანთებით პროცესებს.

მსოფლიოში ვერავინ კურნავს მასტიტს ისე ეფექტურად და სწრაფად, როგორც ჩვენ, „სალხინოს“ საშუალებით. ამის თამამად თქმა შემიძლია, რადგან მეცნიერულად და ლაბორატორიულად დამტკიცებულია, რომ „სალხინო“ არის ერთადერთი წამალი მსოფლიოში, რომელიც მასტიტს კურნავს. თუ მეძუძური დედა პროფილაქტიკის მიზნით სალხინოს მიიღებს, მას მასტიტი არ განუვითარდება.

ვმუშაობთ. ვცდილობთ გავაფართოვოთ მკურნალობის არეალი. ვიკვლევთ, კიდევ რა შესაძლებლობები შეიძლება ჰქონდეს წამალს, ვატარებთ ლაბორატორიულ კვლევებს აქ და სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენი საქმიანობა ვიღაცებისთვის, როგორც ჩანს, არასახარბიელოა.

2013 წელს, როცა უკრაინასა და სომხეთში უკვე რეგისტრირებული გვქონდა კონტრაქტები და ვაპირებდით წამლების გატანას, „ფარმაცევტულმა სახლი+“-მა რომ იტყვიან, პირდაპირ მახე დაგვიგო.

ამ კომპანიასთან 2008 წლიდან გვქონდა საქმიანი კავშირები — ვაწვდიდით წამლებს და ჩამოგვიყალიბდა ნორმალური, პარტნიორული ურთიერთობა. 2013 წლიდან კი მოულოდნელად სასამართლოში გვიჩივლეს.

„საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი საგადასახადო დავალებების, ასევე სალაროს შემოსავლის ორდერების მიხედვით, 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით მოსარჩელემ მოსარგებლეს გადასცა თანხა 1296497 ლარის ოდენობით, ხოლო 2010 წლიდან 897847 ლარის ოდენობით. სასაქონლო ზედნადებების შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელეს 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით სულ მიაწოდა 672624 ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქცია. ამდენად, არც მხარის მიერ წარმოდგენილი ურთიერთშედარების აქტების და არც სხვა სახის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება მოსარჩელის მიერ მოპასუხის მოტყუების ფაქტი“, — ნათქვამია პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებაში.

ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი ეხებოდა „ფარმაცევტული სახლი+“-ის მხრიდან 2010 წლიდან 897847 ლარის გადაცემის ფაქტს, აქედან კი 225223 ლარი ტყუილი იყო. სინამდვილეში, 2010 წლიდან 672624 ლარის გარდა არ ჰქონია ადგილი დარჩენილი თანხის 225223 ლარის გადმოცემას და შესაბამისად, ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს. მათ საქმის გასაყალბებლად და სასამართლოს მოტყუების მიზნით გამოიყენეს ყალბი ქვითრები. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა 2009 წლიდან 1296497 ლარის გადმოცემა და აგრეთვე ყალბი ქვითრები, 1296497 ლარის ნაცვლად დაადგინა, რომ მხარეთა ურთიერთობების სრული ეტაპის განმავლობაში გადმოცემულია 1009960 ლარი. გამოგონილმა ტყუილმა და საეჭვო შედარების აქტმა, რომელიც ერთადერთ მტკიცებულებადაა წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვია შეკერილიყო 600-გვერდიანი საქმე.

სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ დაგვადანაშაულა 2017 წლის 5 დეკემბრის სხდომისას მასზედ, რომ ჩვენ იმ მომენტისთვის არ გვქონდა 2009 წლის პროდუქციის მიწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები, ხოლო, ჩვენი მხრიდან ზედნადებების არქონის მიზეზი იყო ის, რომ საქმე ეხებოდა 2010–2013 წლებში არსებული დავალიანებისთვის დავას და არ მივიჩნიეთ საჭიროდ 8 წლით დაძველლებული ზედნადებების სასამართლოზე წარდგენა.

„ფარმაცევტული სახლი+“-ის წარმომადგენლებმა შეძლეს მოეტყუებინათ სასამართლო, რომ არ არსებობდა 2010 წლამდე სასაქონლო ზედნადებები და შესაბამისად, ჩვენ მათთვის ასიათასობით ლარის პროდუქცია გვაქვს მისაწოდებელი. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მსჯელობა და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის 2015 წლის 20 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული ციფრები აბლაბუდად დაალაგეს, შექმნეს რებუსი და ამით სასამართლო შეცდომაში შეიყვანეს.

ჩვენ კი წლების მანძილზე ვერ მოხვდით თუ რის საფუძველზე გვართმევდნენ საკუთრებას.

სააპელაციო პალატის გონივრულმა გადაწყვეტილებამ კი გამოააშკარავა „ფარმაცევტული სახლი+“-ის დამფუძნებლების მზაკვრული გეგმა, გაენადგურებინათ ჩვენი საქმიანობა და დაუფლებოდნენ ჩვენს საკუთრებას.

ეს ქმედება სამოქალაქო საქმე კი არა სისხლის სამართლის დანაშაულია.

ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი იყო 2010 წლიდან 897847 ლარის გადმოცემა და აქედან 225223 ლარი იყო სადაო, ბუნებრივია საქმეში არ იყო 2010 წლამდე არსებული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი ზედნადებები. ჩვენ კი დარწმულებულნი ვიყავით, რომ სასამართლო განიხილავდა ჩვენს საჩივარს, რისთვისაც ბაჟის სახით გადახდილი გვქონდა 7000 ლარი, დაადგენდა სიყალბეს და ბათილად ცნობდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას.

„ფარმაცევტული სახლი +“-ის მიერ ინიცირებული საჩივრით გამოწვეული დავა რომ უსაფუძვლოა და გამოგონებული, ამის მრავალი მტკიცებულება არსებობს, თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორ არწმუნებდა სასამართლო პროცესზე იონა (დათო) ქობულია მოსამართლეებს ჩვენს უმადურობაში. თურმე მათ ჩვენთვის გადმორიცხული აქვთ 35000 ლარამდე თანხა და მხოლოდ 185063.83 ლარის უკან დაბრუნებას ითხოვენ.

მე ხელთ მაქვს ყველა საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ჩვენ მიერ პროდუქციის ნამდვილად მიწოდებას.

2010–13 წლამდე პერიოდში განხორციელებულ აქტივობებზე დავის მიმდინარეობისას სასამართლოს წარვუდგინეთ ყველა დოკუმენტაცია. მეორე ინსტანციის სასამართლომ ძველი დოკუმენტაცია მოითხოვა. მოვიძიეთ ეს დოკუმენტები და დამტკიცდა, რომ პირიქით, **„ფარმაცევტული სახლი+“**-ს ჩვენთვის აქვს გადმოსარიცხი 55000 ლარი.

საკასაციო სასამართლოში წარდგენილი გვაქვს აუდიტის დასკვნები და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, რომელიც აბათილებს „ფარმაცევტული სახლი+“-ის პრეტენზიებს.

დიახ, ჩვენ მივიღეთ თანხა, გადავუგზავნეთ წამლებიც. ამ ოპერაციის დოკუმენტაციაც არსებობს.

უზენაესი სასამართლოს თამჯდომარეს პირადად მე გავუგზავნე წერილი, სადაც ყველაფერს აღვწერდი დეტალურად. „ფარმაცევტული სახლი+“-ის პრეტენზიები ჩვენი მისამართით არის აბსურდული, მათ პირიქით, ჩვენთვის აქვთ გადმოსარიცხი 55000 ლარი.

უფრო სამწუხარო რამე უნდა ვთქვა: ეს აფიორა, რომელსაც ჩვენი კომპანიის მიმართ აწარმოებს „ფარმაცევტული სახლი +“, არ არის მხოლოდ მათი ახირება ან თანხის გამოძალვის მცდელობა. თანხების გამოძალვა რომ ნდომოდა, „ფარმაცევტულ სახლი+“-ს შეეძლო უბრალოდ გაეყიდა ჩვენი პროდუქცია ისე, რომ ფული ჩვენთვის არ მოეწოდებინა. საქმე იმაშია, რომ ვიღაცებს არ აწყობთ მორჩენილი პაციენტები არც აქ, საქართველოში და არც სხვაგან. ჩემი აზრით, ამ საქმის უკან სხვა უფრო მზაკვრული ინტერესები დგას — „სალხინოსა“ და საერთოდ, ტრადიციული მედიცინის ჩასაძირად და ჩვენი კომპანიის გასანადგურებლად. შეიძლება ბაზარზე სხვა წამალი შემოდის, ან „ფარმაცევტულ სახლი+“ რაიმე სხვა ინტერესებით ხელმძღვანელობს, რადგან ბოლო ხანებში მათი საქმიანობა საეჭვოდ აყვავდა.

სომხეთსა და უკრაინაში, ამ ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, წამალი „სალხინო“ უკვე დარეგისტრირებული გვქონდა. პროდუქცია, ცხადია, ლეგალურად უნდა გაგვეტანა, მაგრამ სასამართლო დავებში დრო გავიდა და რეგისტრაციასაც ვადა დაეკარგა.

არავისთვის არაფერი დაგვიშავებია, არც ერთი სახელმწიფო ინსტანციისთვის, არც პირადად ვინმესთვის, ვმუშაობდით ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში. დღეს საქმიანობა შეზღუდული გვაქვს და ვინ აგებს ამაზე პასუხს?

სამწუხაროა, რომ ჩვენი ყოფილი საქმიანი პარტნიორები, „ფარმაცევტული სახლი +“, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას პრინციპით უსინდისოდ ატყუებენ სასამართლოს და ყველანაირი ხერხით ცდილობენ მოუსპონ „სალხინოს“ ფუნქციონირების საშუალება.

„სალხინოს“ არავითარი ვალი არ აქვს „ფარმაცევტული სახლი+“ მიმართ, ისინი კი მიზანმიმართულად, 5 წლის განმავლობაში გვაწვალებენ და ცდილობენ „სალხინოს“ მოსპობით ტრადიციულ მედიცინას საფუძველი მოუნგრიონ. მათი ყოველი ქმედება გვაფიქრებინებს, რომ მიზანი კომპანიის გაკოტრება და მისი საბოლოო განადგურებაა.

მათ ჩვენს მიმართ ჩადენილი აქვთ დანაშაული, რომლითაც ქართული კანონმდებლობით „ფარმაცევტული სახლი+“-ისა და მისი ხელმძღვანელობის სისხლის სამართლებრივი დანაშაული დამტკიცდება.

ვთხოვთ „საერთო გაზეთის“ რედაქციას განახორციელოს ჟურნალისტური მოკვლევა ამ საკითხებთან დაკავშირებით, რათა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სიმართლის დადგენაში დაეხმაროს გამოძიებას.

●

პატივისცემით, ფარმაცევტული კომპანია **„სალხინოს“** გენერალური დირექტორი **როინ ნაჭყებია**.

* * *

მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხვა საბუღალტრო დოკუმენტაციას გავეცანით, **„ფარმაცევტული სახლი+“**-ის ხელმძღვანელობას დავუკავშირდით. აღმოჩნდა, რომ კომპანიის დირექტორი, ბატონი **იონა ქობულია** საზღვარგარეთ ბრძანდებოდა სამსახურებრივი მივლინებით. ამიტომ ჩვენს კითხვებს **„ფარმაცევტული სახლი +**-ის ადვოკატმა, ბატონმა **ტარიელ ჩოჩიშვილმა** უპასუხა:

— ბატონო ტარიელ, როდიდან დაიწყო „ფარმაცევტული სახლი+“ და „სალხინოს“ შორის დაძაბული ურთიერთობა?

— „ფარმაცევტული სახლი+“ და „სალხინოს“ შორის ურთიერთობა, ზო-

გადად, კარგა ხნის წინ დაიწყო.

„ფარმაცევტული სახლი+“ იხდიდა თანხას, „სალხინო“ აწვდიდა პროდუქციას. გარკვეული პერიოდის განმავლობაში „სალხინოს“ დავალიანება დაუგროვდა. ეს იყო, დაახლოებით, 185 000 ლარი, როგორც მახსოვს.

მიუხედავად ჩვენი მოთხოვნებისა, „სალხინომ“ ვერ შეძლო ამ თანხის პროდუქციის მოწოდება და ჩვენ იძულებული გავხდით, დაგვეწყო დავა.

დავის შედეგად პირველმა ორმა ინსტანციამ „სალხინოს“ დააკისრა ის თანხა, რაც უკვე გითხარით.

— რომელი წლიდან დაიწყო პრობლემა? თავიდანვე პრობლემები გქონდათ თუ მერე გაჩნდა? მე მაინტერესებს თქვენი პარტნიორული ურთიერთობის ისტორია.

— ზუსტად ვერ გეტყვით, ბუღალტერიაში უნდა მოვიძიოთ ეს დოკუმენტაცია. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ტენდენცია ბოლო პერიოდში გაჩნდა.

— რომელია ეს ბოლო პერიოდი?

— დაახლოებით, 2013 წლამდე დავალიანება ეტაპობრივად იზრდებოდა. ვურიცხავდით ფულს და „სალხინო“ პროდუქციას არ გვაწვდიდა. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარემ შეადარა ბუღალტერია, შეიქმნა არაერთი შედარების აქტი, სადაც დაფიქსირებულია დავალიანებები და როცა ვალმა 185 000 ლარი შეადგინა, ხოლო „სალხინო“ ვერც თანხას აბრუნებდა და ვერც პროდუქციას, იძულებული გავხდით, თანხის ამოღების მიზნით, სასამართლოსთვის მიგვემართა.

— ზეპირი მოლაპარაკებები გასაგებია, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტაცია თუ არსებობს, რომელიც გაუგზავნეთ „სალხინოს“ თანხის ან პროდუქციის მოთხოვნასთან დაკავშირებით?

— დავის დაწყებამდე არაერთი შეხვედრა შედგა. იყო მოლაპარაკებები.

— ოფიციალური დოკუმენტი არსებობს?

— ოფიციალურ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან გამარტივებული წარმოების დეპარტამენტისადმი გაგზავნილი მიმართვა.

— ორ პირს შორის დავისას მესამე პირის ჩართვა მეორე პირის დაუკითხავად შეიძლება?

— ერთგვარი მედიატორის როლს, ამ შემთხვევაში, ასრულებს აღმასრულებელი, ანუ ორ სუბიექტს შორის ურთიერობაში ერთვება სააღსრულებო სამსახურის თანამშრომელი ე.წ. ქეის-მენეჯერი. კერძოდ, როცა მიმართავენ დახმარებისთვის თანხის დაბრუნებაში, ქეის-მენეჯერი აგზავნის მოთხოვნას და პასუხს ელოდება. მოპასუხეს შეუძლია საერთოდ არ აღიაროს დავალიანება, ან აღიაროს და შესთავაზოს მორიგების პირობები, ან შეუძლია საერთოდ არ გასცეს პასუხი, რაც ვალის აღიარებას ნიშნავს.

„სალხინომ“ პროტესტი გამოთქვა — დავალიანება საერთოდ არ გვქონიაო, არადა, შპს „სალხინოს“ მიერ ხელმოწერილია არაერთი შედარების აქტი, სადაც ის აღიარებს ამ თანხის ვალად არსებობას.

ეს დოკუმენტები 2013 წელს არის შედგენილი, მაგრამ როგორც გითხარით, დავალიანება წლების განავლობაში იყო მზარდი.

— რატომ იყო მზარდი, თუ ერთხელ ან მეორედ პროდუქცია არ მოგაწოდათ, თანხას რატომ ურიცხავდით?

— წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდით, გვაწვდიდა პროდუქციას, ვუხდიდით თანხას და ა.შ. მაგრამ წლების მანძილზე დაგროვდა დავალიანება.

— ბოდიში. კიდევ ვკითხულობ: როდიდან იღებს სათავეს თქვენს შორის დღეს არსებული პრობლემა?

— ზუსტად ვერ გეტყვით, ბუღალტერიას მიმართეთ.

— დიახ. აუცილებლად.

— მას შემდეგ, რაც პროტესტი განაცხადა „სალხინომ“ გამარტივებული წარმოების დეპარტამენტის მოთხოვნაზე, ჩვენ სასამართლოს მივმართეთ. პარალელურად მოვითხოვეთ „სალხინოს“ ქონების დაყადაღება. სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამის მერე „სალხინომ“ შესაგებელი სარჩელი შეიტანა, სადაც საერთოდ უარყოფდა დავალიანების არსებობას.

— რა შუაშია დაადასტურა, ან უარყო, მთავარია დოკუმენტაცია.

— ჩვენ წარვადგინეთ თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ეს იყო საბანკო გადარიცხვების ქვითრები, ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში „სალხინოს“ მიერ გაცემული სალარო აპარატის ჩეკები. „სალხინოს“ უნდა მოეწოდებინა ჩვენთვის პროდუქციის გადმოგზავნის დოკუმენტაცია, რაც ვერ წარმოადგინა.

— „სალხინო“ აცხადებს, რომ გადმორიცხული თანხების რაოდენობის გასაზრდელად და კომპანიის ვალში ჩასაგდებად, მაშინ როცა საქმე 2010–13 წლების დავას ეხებოდა, თქვენ 2008 წლის სალარო აპარატის ჩეკები გამოიყენეთ და სასამართლოს თვალი ამით აუზვიეთ.

— ეს არ იყო თვალის ახვევა. თუ სასამართლო თვლის, რომ რაიმე დოკუმენტი ყალბია, არ მიიღებს იმას მტკიცებულებად. დოკუმენტაცია სრულად წარვადგინეთ 2013 წელს, მაგრამ ურთიერთობის ისტორია 2009 წლიდან წყება.

— როგორც ვიცი, დავა იწყება 2010 წლიდან 2009 წლის დოკუმენტები რატომ წარადგინეთ?

— ჩვენ წარვადგინეთ ურთიერთობის მთლიანი ისტორია. ამიტომ მოხვდა დოკუმენტაციაში 2008 წლის ჩეკები, ანუ სადაო არა 2010–13 წლები იყო, არამედ ამ ურთიერთობაში არსებული მთელი ვალდებულება. „ფარმაცევტული სახლი+“ უნდა დაედასტურებინა თანხის გადარიცხვის ფაქტები. ჩვენ წარვადგინეთ სრული დოკუმენტაცია, „სალხინომ“ ასეთი ვერ წარმოადგინა.

2010–13 წლების დავა მიმდინარეობს და ახლა ამბობს დოკუმენტები მოვიძიეო. 2017-ში იპოვა საჭირო დოკუმენტები? კიდევ გიმეორებთ, საქმეში არსებობს ბატონი როინის მიერ ხელმოწერილი არაერთი შედარების აქტი, რომელიც ადასტურებს მისი ფინანსური ვალდებულების არსებობას. ამ აქტებში მოცემულია ზუსტი ციფრი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

— „სალხინოს“ ინფორმაციით, აუდიტის სამსახურმა დაადგინა, რომ 55074 ლარის პროდუქცია აქვთ მოწოდებული, შესაბამისად, ეს თანხა თქვენ „სალხინოს“ უნდა გადაუხადოთ. რას იტყვით ამის შესახებ?

— ეს რომ დადასტურებული ფაქტი ყოფილიყო, სასამართლო გაითვალისწინებდა და იმ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, რაც მიიღო. მე ასეთი დოკუმენტის არსებობის შესახებ არაფერი ვიცი.

დავა დაიწყო 2013 წელს, ახლა არის 2018. ჩვენმა კომპანიამ მიიღო სოლიდური ფინანსური ზარალი. 2013 წლამდე „სალხინოს“ გადავურიცხეთ 185 000 ლარი და პროდუქცია დღემდე არ მიგვიღია. ვერც თანხას ვიბრუნებთ. შპს „სალხინო“ამბობს, რომ 2017–18 წლებში მოიძია დოკუმენტები, რითაც ჩვენ გვაქვს „სალხინოს“ ვალი? წესით, ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ უნდა არსებობდეს. ჩვენ საკმაოდ მოწესრიგებული ბუღალტერია გვაქვს, ასეთი რამ გამორიცხულია.

— საapელაციო სასამართლომ დადგინა, რომ „სალხინოს“ დავალიანება „ფარმაცევტული სახლი+“-სადმი იყო 336 686 ლარი, თქვენც დეთანხმეთ მაშინ ამას, რა თანხა არის ეს? როგორც თქვით, თქვენ 185 000 ითხოვთ.

— არათუ 336 686, არამედ 185 000 ლარის არსებობის დოკუმენტაცია ვერ წარადგინეს. ჩვენს მიერ წარდგენილი თანხების დოკუმენტაცია და ბატონი როინის მიერ პროდუქციის მიწოდების დოკუმენტაციებს შორის იყო 336 686 ლარი და საapელაციო სასამართლომ განუცხადა შპს „სალხინოს“ — თქვენ რომ დადასტუროთ დავალიანების არარსებობა „ფარმაცევტული სახლი+“ მიმართ, უნდა წარმოადგინოთ 336 686 ლარის დამადასტურებელი დოკუმენტაციაო.

თუმცა ჩვენ არ ვითხოვთ ამ თანხას, ჩვენ ვითხოვთ 185 000 ლარს.

— ის 336 686 ლარი აპატიეთ?

— არა. დავალიანება, რეალურად, არის 185 000 ლარი.

ჩვენ პროდუქციით ვართ დაინტერესებული, მაგრამ 2010–13 წლების დავის შესაწყვეტად 2017–18 წლებში რომ გვთავაზობს პროდუქციას, ეს თავისთავად ზარალში გვაგდებს.

— ეს „სალხინოს“ ბრალია? სასამართლო მეექვსე წელია მიმდინარეობს.

— რა უშლიდა ხელს „სალხინოს“ მოსულიყო ჩვენთან და შემოეთავაზებინა პროდუქციის მოწოდების ვალდებულება?

აღსრულების ეროვნულ ბიუროში პროტესტი შეიტანა — ჩვენ არავითარი დავალიანება არ გვაქვსო. შემდეგ შესაგებელში იგივე გაიმეორა. ჩემი აზრით, მან იცოდა, რომ ეს ვალი ჰქონდა, მეტიც სასამართლოს გარეშე ცალკე შეხვედრებისას არ უარყოფდა ამ ვალის არსებობას, პროცესებზე სხვანაირად ლაპარაკობდა — ხან აღიარებდა, ხან არ აღიარებდა, ხან ნაწილობრივ აღიარებდა და ა.შ.

წლების განმავლობაში რამდენიმე განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს, უბრალოდ, არასერიოზულია ეს და ყველა ნორმალურ ადამიანს შეეპარება ეჭვი მის გულწრფელობაში.

როდესაც ხარ კომპანია, უნდა აწარმოებდე მკაცრ ბუღალტრულ აღრიცხვას. გქონდეს სრული ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ ხელს აწერ დოკუმენტაციას. ჩვენ წარვაგინეთ ქვითრები, რითაც ვადასტურებდით „სალხინოსათვის“ თანხის გადარიცხვის ფაქტებს, არის ნაღდი გადახდის ქვითრებიც და არის, უმნიშვნელო ოდენობით, სალარო აპარატის ჩეკებიც.

— ეს იმ წლების სალარო აპარატის ქვითრებია, რაც ამ დავას არ ეხება საერთოდ.

— დავა ეხება ყველა წელს. 2008–2009 ვაწვდიდით თანხას, ყველა სახის დოკუმენტაცია წარვადგინეთ. „სალხინომაც“ სრულად წარმოადგინოს ყველა დოკუმენაცია, რომ შედარდეს. 2010 წლიდან თუ წარმოიშვა დავალიანება, როგორ უნდა გაირკვეს, თუ ურთიერთობის მთელი ისტორია არ ვნახეთ? ეს ქმნის სრულ სურათს. აქ არაა საუბარი მარტო დავალიანების აღიარებაზე, ჩვენ შევკრიბეთ სრული დოკუმენტაცია...

— თუ იცით იმის შესახებ, რომ „სალხინომ“ ბოლო ინსტანციის განაჩენი გაასაჩივრა და წინ ახალი პროცესი გელოდებათ?

— რადგან პრველი ინსტანციის განაჩენი გასაჩივრდა, თავისთავად ცხადია, საapელაციოც გასაჩივრდებოდა.

— რომ წარსდგეთ საკასაციო პროცესზე, იმ იმედით იქნებით, რომ ამ საქმეს უეჭველად მოიგებთ?

— 100% დარწმუნებული ვერაფერში ვერ იქნები, თუმცა იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ სიმართლე ჩვენს მხარესაა.

არაერთხელ შევხვედრივართ ბატონ როინს, გვისაუბრია. მისი საუბრებიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება დავის საგანთან დაკავშირებით.

— როგორც ცნობილია, „სალხინოს“ ქონება დაყადაღებულია. ამიტომ ვერ გიბრუნებთ ფულს.

— კი, მაგრამ შეთანხმება შესაძლებელი იყო.

— ანუ არსებობს შანსი, რომ სასამართლოს გარეშე რაიმეზე შეთანხმდეთ?

— დავა გძელდება 4 წელიწადია. თუმცა შეთანხმება დღესაც შესაძლებელია, მაგრამ, სანდოობიდან გამომდინარე, ბატონი როინი და შპს „სალხინო“ ჩვენთვის სანდო პარტნიორებს არ წამოადგენენ. შესაბამისად, თუ რაიმეში შევთანხმდებით, ეს შეთანხმება გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტური და მატერიალური უზრუნველყოფით, იპოთეკით ან სხვა რაიმე ფორმით. მხოლოდ ბატონი როინის

სიტყვას, ან ხელმოწერას არ ვენდობით. ვალდებულება, რომელსაც აღიარებს, უნდა იყოს უზრუნველყოფილი რაიმე სახის ქონებით ან სხვა მყარი არგუმენტებით!!

ტარიელ ჩოჩიშვილის განცხადებას „სალხინოს“ დირექტორი **როინ ნაჭყებია** ასე პასუხობს:

— როგორც გითხარით, სამი ათეული წელია ტრადიციულ მედიცინას ვემსახურები. მიმაჩნია, ამისთვის ვარ გაჩენილი და ჩემი მოვალეობაა, მეტად განვავითარო და ბოლომდე მივიყვანო დაწყებული საქმე.

ძნელია დღეს საქართველოში, მედეას სამშობლოში, ტრადიციული მედიცინის ბედი.

არსებული უამრავი პრობლემით ბევრი ჩემი კოლეგა იჩაგრება, მაგრამ არ ღალატობს წინაპრების საქმეს.

რაც შეეხება „სალხინოს“, ბოლო წლებში უდიდესი ზარალი მივიღეთ. 5 წელია გვაწამებენ, წარმოება გაგვიჩერეს და, თავისთავად ცხადია, ნერვების ფასად დაგვიჯდა „ფარმაცევტული სახლი +“-თან წარმოებული დავა, მაგრამ ჩემი სიცოცხლეც რომ იყოს საჭირო, სიმართლეს მაინც დავამტკიცებ.

— ბატონო როინ, თქვენ ძალიან რადიკალური ბრძანდებით, არ მიგაჩნიათ, რომ მოლაპარაკება ყოველთვის არის შესაძლებელი, მით უმეტეს საქმეში? მგონი, ბიზნესში ემოციებზე დაყრდნობით არ უნდა ვიმოქმედოთ...

— არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავალ.

იურიდიულად, ადამიანურად, ყველანაირად მართალი ვარ მათთან.

„ფარმაცევტული სახლი+“ ვალი აქვს შპს „სალხინოსი“ და კეთილი ინებონ, გადაიხადონ, პასუხი აგონ კანონის წინაშე.

— „ფარმაცევტული სახლი+“-ში აცხადებენ, რომ თქვენ ვალს ხან აღიარებთ, ხან არა. რა განაპიროებებს ამას?

— არასოდეს მიღიარებია არავითარი ფულადი ვალდებულება „ფარმაცევტული სახლი+“-თან. ყოველთვის ვთხოვდი, არ დაედოთ ყადაღა „სალხინოს“ ქონებაზე და არ გაეფუჭებინათ ჩემთვის საქმე.

კიდევ ვიმეორებ, „ფარმაცევტული სახლი+“-სადმი არავითარი ვალი არ მაქვს და არც არასდროს მიღიარებია ვალის არსებობა. ვამბობდი: ოღონდ წარმოება არ ჩამიგდონ და 185 000 ლარის პროდუქციას გავუგზავნი-მეთქი.

ეს იყო შეთავაზება ჩემი მხრიდან.

„ფარმაცევტული სახლი+“ ითხოვდა და დღემდე ითხოვს ფულს, რადგან მშვენივრად იციან, რომ ფული არ გვაქვს და ამით ბლოკავენ ჩვენს საქმიანობას.

თაღლითურად მანიპულირებენ და ატყუებენ სასამართლოს, რითაც შეიკრა 600-გვერდიანი საქმე, სადაც იმდენი აფერისტობა და უნამუსობაა დაფიქსირებული „ფარმაცევტული სახლი+“-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, 20 არამზადას ეყოფა ცალ-ცალკე საციხედ.

რა ითქვა და რა არა, ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს, საქმე იმაშია, რომ „სალხინოს“ „ფარმაცევტული სახლი+“ ვალი არ აქვს. ეს დამტკიცებულია ყველაზე ზუსტი დასკვნებით და მათემატიკური გამოანგარიშებით, ყველანაირი დოკუმენტაციის შესაბამისად.

„ფარმაცევული სახლი+“-ის ხელმძღვანელობა ხმას როგორ იღებს, როცა ამდენი ხნის ნაწვალები საქმე გამიფუჭეს?! ჩემს წინაშე უამრავი ავადმყოფია, რომლებიც „სალხინოს“ ელოდებიან. რა ვუთხრა მათ?

ისედაც დიდი ცოდვა აქვთ ჩადენილი. მათი უნამუსობა რომ არა, ამ ხნის განმავლობაში 1000 ქალს მაინც არ ექნებოდა ძუძუ მოჭრილი და ვინ იცის, რამდენი დედა გაზრდიდა საკუთარი რძით ახალშობილს. ეს ცოდვა არ გაახარებთ მაგათ.

არ გამოვრიცხავ, რომ ამ აფეორის განხორციელებისთვის „ფარმაცევტული სახლი+“ დიდძალი ფული აქვს აღებული. ვიღაცების მიზანია, „სალხინო“ გაქრეს ქართული ფარმაცევტული ბაზრიდან.

ჩემი ვარაუდით, საუბარია უცხოეთიდან შემოტანილი წამლების რეალიზაციის გაფართოებაზე.

მე ვთხოვ „საერთო გაზეთს“ და სახელმწიფო სამართლებრივ ორგანოებს, მიადევნეთ თვალი ამ საქმეს. გამოიძიეთ ობიექტურად“.

* * *

ორი ინსტანციის სასამართლომ შპს „სალხინოსა“ და „ფარმაცევტული სახლი+“ დავაზე უკვე იმსჯელა. როგორც „სალხინოს“ ხელმძღვანელობა იუწყება, მალე საკასაციო სასამართლო ხელახლა განიხილავს ამ ორ სუბიექტს შორის დავის საქმეს.

საქმე ისაა, რომ ეს ამბავი არაა მხოლოდ „სალხინოსა“ და „ფარმაცევტული სახლი +“-ის პრობლემა. საკითხი უფრო მასშტაბურია.

ამ გაუთავებელი დავებისა და დაყადაღებული ქონების ფონზე უამრავი მადლიერი პაციენტის მშველელი ფარმაცევტული კომპანია „სალხინო“ იძირება.

მტყუან-მართლის გარჩევას არ შევუდგებით, რადგან კვალიფიცირებული სასამართლო სისტემის იმედი გვაქვს. მის მიმდინარეობას „საერთო გაზეთი“ პერიოდულად მიადევნებს თვალს.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ფარმაცევტული სახლი +“ ტყუის, ან „სალხინოა“ 100% უცოდველი, მაგრამ „სალხინოს“ ხელმძღვანელობა გამოთქვამს ეჭვს, რომ კამპანია, რომელიც „სალხინოს“ წინააღმდეგ აგორდა ხუთი წლის წინ, გარკვეული ძალების მიერ არის პროვოცირებული გარკვეული მიზნით — უცხოური პრეპარატების ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე დასამკვიდრებლად და ქართული ტრადიციული მედიცინის გასანადგურებლად. ეს კი, დამეთანხმებით, უპატიებელი ცოდვა იქნება ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რაც განგებამ თუ გვაპატია, თაობები არასდროს გვაპატიებენ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები – ძლიერი საქართველოსთვის

ფოთი

ფოთში „აჭარა ტექსტილის“ ახალი საწარმო გაიხსნა

„აწარმოე საქართველოში“ – ამ სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით ფოთში ახალი სამკერვალო საწარმო საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გახსნა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, ქალაქის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე დავით კოდუა, „აჭარა ტექსტილის“ დამფუძნებელი ჯემალ ბილგინგულლუოღლუ, Nike Ema-ს რეგიონული დირექტორი კანერ სოიტასი და სხვა მოწვეული სტუმრები.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, „აჭარა ტექსტილის“ ახალი საწარმო პროდუქციას მიაწოდებს ისეთ მსხვილ ბრენდებს, როგორიცაა New Balance და Under Armour. ახალ საწარმოში 3000 ადამიანი დასაქმდება.

ცნობისთვის: „აჭარა ტექსტილი“ 100 პროცენტით ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიაა, რომელიც უკვე თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო კომპანიებთან, როგორიცაა: Nike, Adidas, Puma, Lotto, Erima და საქართველოში შეკერილი პროდუქციის რეალიზაციას საერთაშორისო ბაზარზე ახდენს. კომპანია წლიურად 10 000 000 ერთეულ პროდუქტს აწარმოებს, ხოლო მაღალი ხარისხის ახალი მანქანა-დანადგარების ამოქმედებით წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

კომპანიას ბათუმსა და ქობულეთში უკვე აქვს ორი სამკერვალო, სადაც 2500 ადამიანია დასაქმებული.

შპს „აჭარა ტექსტილი“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური და ინფრასტრუქტურული კომპონენტით სარგებლობს. შესაბამისად, საწარმოს ასაშენებლად სახელმწიფოსგან კომპანიას სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცა მიწის ნაკვეთი, ხოლო სესხის პროცენტის თანადაფინანსებას ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. პროგრამის ფარგლებში აღებული სესხის მოცულობა 9 200 000 ლარს შეადგენს, ხოლო სახელმწიფოს თანადაფინანსება 1 600 000 ლარია. ფოთის პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 38 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ზემოთ ხსენებული სამივე პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა კი 80 მლნ ლარია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 20 საბავშვო ბაღის გაზიფიცირება იგეგმება

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია სოფლებში ბაღების გაზიფიცირებას აპირებს. 20 საბავშვო ბაღში გაზის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებზე ტენდერი უკვე გამოცხადდა და 6 მარტს დასრულდება. მუნიციპალიტეტში სულ 37 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაა, საიდანაც დღეისთვის მხოლოდ 15-ია გაზიფიცირებული. პროექტის დასრულების შემდეგ 35 საბავშვო ბაღი ბუნებრივი აირის მიწოდებით უზრუნველყოფილი იქნება. ორ ბაღში კი, რომლებშიც გაზის ქსელის მოწყობა ამ ეტაპზე ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება, სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღი ახალი სასწავლო წლისთვის გაზიფიცირებული იქნება.

გურჯაანი-თელავის შემოვლითი გზის პროექტის საჯარო განხილვა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გურჯაანი-თელავის შემოვლითი გზის (30 კმ) პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში წარადგინეს. პროექტის მიხედვით, შემოვლითი გზა სოფელ ახაშენში დაიწყება და თელავში დასრულდება. ანგარიშის წარდგენისას საგზაო დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ ყველა იმ საკითხის შესახებ ისაუბრა, რომლებმაც პროექტის განხორციელების პროცესში შესაძლოა გარემოზე ზემოქმედება მოახდინოს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რომლის მთავარი მიზანი სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება იყო.

შეხვედრას გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი, გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი და იმ სოფლების წარმომადგენლები დაესწრნენ, სადაც პროექტის განხორციელება იგეგმება.

„ვისწავლოთ ქართული“ – სამწლიანი პროექტი ბოლნისში შეაჯამეს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბოლნისში ეთნიკური უმცირესობების საპრეზიდენტო პროგრამის – „ვისწავლოთ ქართული“ – მონაწილეებს შეხვდა.

ბოლნისი

პროექტი „ვისწავლოთ ქართული“ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2015 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.

შეხვედრა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა გახსნა და პროექტის ავტორებს სამწლიანი შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

მოსახლეობასთან შეხვედრის მოდერატორის, ეთნიკური უმცირესობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის, სოფიო შამანიდის განცხადებით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში – ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, თბილისში თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მაგისტრანტები და დოქტორანტები სახელმწიფო ენასა და კონსტიტუციის საფუძვლებს ინტეგრირებული სწავლების მეთოდით ასწავლიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს.

პროგრამის მეშვეობით, სახელმწიფო ენის სწავლებასთან ერთად, ხელმისაწვდომი გახდა მარტივად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინფორმაცია იმ უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც მათ ქართული კანონმდებლობით ენიჭებათ.

ბოლნისი – სიონი-წუღრუღაშენის გზის რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ბოლნისის სიონის ტაძრიდან წუღრუღაშენის მონასტრამდე არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშოებს დააფინანსებს. ელექტრონული ტენდერი საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უკვე გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს ოთხი თვის ვადაში დაასრულებს, პროექტის სატენდერო ღირებულება 1 506 202 ლარია.

დაიგება 1700 გრძივი მეტრი ასფალტბეტონის გზა, მოეწყობა ეზოში შესასვლელები, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები.

სენაკის სოფლებში სანიალვრე არხები წესრიგდება

მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის დავალებით და მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ისულას უბანში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით 200 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხები მოეწყო. შედეგად, წყალუხვობისას მიმდებარე მოსახლეობას სახნავ-სათესი და საკარმიდამო ნაკვეთები აღარ დაეტბორებათ.

პარალელურად, ამავე უბანში მოიხრეშა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია.

სამუშაოებს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის თანამშრომლები ასრულებდნენ.

სენაკი

შეხვედრა ჩოხატაურში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლეში მოსახლეობასთან შეხვედრაზე, რომელიც ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის ნინო წილოსანის ინიციატივითა და ბიუროს ორგანიზებით გაიმართა, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების სამოქმედო გეგმა განიხილეს.

მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების 2018 წლის სტრატეგიის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ზურაბ ლიპარტიამ. აღინიშნა, რომ მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში კვლავ ჩაერთვება სახელმწიფო, თუმცა, იმავდროულად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის აქტიური მონაწილეობაც, სამეცნიერო წრეების ჩართულობა და არსებული პოტენციალის სრულად გამოყენება.

შეხვედრას ესწრებოდნენ გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები.

ღონისძიება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid -ის ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება.

VIRIL MAX
ვირილ მაქსი

ერექციის დისფუნქციისა და იმპოტენციის ყველაზე ნატურალური სამკურნალო საშუალება, რომელსაც ევროპელი ექსპერტები ყველაზე სრულყოფილი შემადგენლობის სამკურნალო საშუალებად თვლიან.

ორიგინალური შემადგენლობის ფრანგული ნატურალური პრეპარატი ვირილმაქსი მოქმედებს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური მიმართულებით, რის შესაძლებლობასაც მისი უნიკალური შემადგენლობა და კომპონენტების თანაფარდობითი დოზირება განაპირობებს.

ვირილ მაქსის უპირატესობებს სხვა ანალოგებთან მიმართებით წარმოადგენს:

1. ვირილ მაქსი სრულიად ნატურალურია და არ გააჩნია არავითარი სერიოზული გვერდითი მოვლენა.



2. ვირილ მაქსის შემადგენლობა განაპირობებს მაღალ სამკურნალო ეფექტს და არ აბასიათებს ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულების განვითარება.

3. ვირილ მაქსის გამოყენება არ იკრძალება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად.

4. ვირილ მაქსის გამოყენება შეზღუდული არ არის არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულ პაციენტებში, ვინაიდან მასში შემავალი L-არგინინი ხასიათდება გამოხატული ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) მოქმედებით.

5. პრეპარატი დამზადებულია უნიკალური ფრანგული ტექნოლოგიით და მზადდება მხოლოდ საფრანგეთში.

ვირილ მაქსი აპრობირებულია აშშ-ში, ავსტრალიასა და მთელ ევროპაში. სტატისტიკური კვლევებით გამოთვლილია, რომ მისი სამკურნალო მოქმედების დამსახურებით იმპოტენციის პრობლემა 2017 წელს ევროპის ქვეყნებში მოუწესრიგდა 18 მილიონზე მეტ მამაკაცს, ხოლო ანდროლოგების დაკვირვებით უნაყოფობის წილი ვირილმაქსის დახმარებით ბოლო 1 წლის განმავლობაში შემცირდა 28,2%-ით.

ფარმაცევტული კომპანიების ანალიტიკური კვლევებით, 2017 წელს საფრანგეთში ვირილმაქსის მოხმარება იყო პირველ ადგილზე მის ანალოგებთან მიმართებით. მათ შორის, სილდენაფილის ჯგუფის პრეპარატებზე (ვიაგრა, რევაციო, ვიზარსინი და მისილდეკარდი).

შემადგენლობა:

ვირილ მაქსის შემადგენლობაში შედის: 1. არგინინი, ამაზონის **Muira Puama**-ს ექსტრაქტი, მაგნიუმის ოქსიდი, საფრანის ექსტრაქტი, გუარანას ექსტრაქტი, C ვიტამინი, B5 ვიტამინი, თრიბულუს **Teresstre**-ს ექსტრაქტი, თუთიის სულფატი, ველური წიწაკის ექსტრაქტი, შავი წიწაკის ექსტრაქტი, ნატრიუმის სელენიტი.

ვირილ მაქსის გამოყენების ჩვენებებია:

1. ნებისმიერი გენეზის ერექციის დისფუნქცია მათ შორის ფსიქოგენური;
2. სპერმის მოცულობის სიმცირე და სპერმაში სპერმატოზოიდების რაოდენობის დავეითება;
3. სქესობრივი ლტოლვის სურვილის დაკარგვა;
4. სწრაფი ეაკულაცია;
5. ერექციის შენარჩუნების დეფიციტი;
6. ქრონიკული დაღლილობით გამოწვეული იმპოტენციები და ერექციის დარღვევები;
7. დიაბეტური გენეზის იმპოტენცია და ერექციის უკმარისობა.

ვირილმაქსი მიიღება შემდეგი სქემით:

ერექციის უკმარისობისა და ხანგრძლივობის გაზრდის შემთხვევაში მიიღება 1 კაფსულა 30-45 წუთით ადრე სქესობრივ აქტამდე.

დაშვებულია ვირილ მაქსის სამკურნალო კურსის ჩატარება დიაბეტური, ფსიქოგენური და ტესტოსტერონის უკმარისობით მიმდინარე იმპოტენციების დროს: 1 კაფსულა 2-ჯერ დღეში 12-საათიანი ინტერვალებით ჭამამდე 30 წუთით ადრე 10 დღის განმავლობაში. მკურნალობის კურსი მეორდება ყოველთვიურად 1 წლის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი:

ფარმაცევტული კომპანია **Les laboratories 2 chenes** საფრანგეთი.

შემადგენლობა:

ვირილ მაქსის შემდგენლობაში შედის 1. არგინინი, ამაზონის **Muira Puama**-ს ექსტრაქტი, მაგნიუმის ოქსიდი, საფრანის ექსტრაქტი, გუარანას ექსტრაქტი, **C** ვიტამინი, **B5** ვიტამინი, თრიბულუს **Teresstre**-ს ექსტრაქტი, თუთიის სულფატი, ველური წიწაკის ექსტრაქტი, შავი წიწაკის ექსტრაქტი, ნატრიუმის სელენიტი.

ვირილმაქსის შეძენა შეგიძლიათ
„ფარმადეპოსა“ და „ჯი-პი-სის“ სააფთიაქო ქსელებში.
ტელ: +995 591 06-07-99

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– მაინტერესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

– თქვენთვის საინტერესო საკიკითხს ამომწურავად უპასუხებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303–3 მუხლი, რომლის შინაარსსაც გაგაცნობთ სრულად:

მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

1. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით კასატორს აძლევს 5 დღის ვადას, რომელიც საჭიროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. (ამოღებულია – 08.02.2017, № 260).

3. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

3^1. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

3^2. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.

3^3. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს მხარეებს, ხოლო თუ დაუშვებლად ცნობილია პროკურორის საკასაციო საჩივარი – აგრეთვე ზემდგომ პროკურორს.

5. თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი ნიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს. საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

6. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

7. კასატორს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

8. საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

* * *

- მოვალემ გადამიცილა გასესხებული თანხის გადახდის ვადას. შემიძლია თუ არა გადაცილებული დღეებისათვის მოვთხოვო პროცენტებით ან პროცენტიდან პროცენტის გადახდა?

- დიახ, შეგიძლიათ, თუ ეს საკითხი განხილულ იყო ხელშეკრულების დადებისას და და აღნიშნული მითითებულია ამ ხელშეკრულებაში. დაგიკონკრეტებთ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი ქალები

კაცობრიობა მეცნიერების წყალობით ვითარდება. ახალი აღმოჩენები თითქოსდა მხოლოდ მამაკაცების ხვედრია. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერთა შორის უმრავლესობა მამაკაცები არიან. მიუხედავად ამისა, ქალების როლის დაკნინება არასწორია. მაგალითად, მსოფლიოში პირველი პროგრამისტი ადა ბაირონი გახდა, ჯორჯ გორდონ ბაირონის ქალიშვილი.

ისტორიის ყველა პერიოდში არსებობდნენ ნიჭიერი ქალები, რომლებიც მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერების განვითარებაში. ხშირად მათი დამსახურებები დავიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მათ გამოგონებებს ყოველდღიურად იყენებენ...

მარია სკლადოვსკაია-კიური (1867-1934)

ამ ქალბატონის ცხოვრება უნიკალურია. რადიოაქტივობა მისი ცხოვრების ნაწილი გახდა. XX ს-ის დასაწყისში ეს პოლონელი ქალბატონი თავის მეუღლესთან, პიერთან ერთად მუშაობდა ისეთი რადიოაქტიური ნივთიერებების მიღებაზე, როგორიცაა რადიუმი, პოლონიუმი და ურანი. ამასთან, მეცნიერები არავითარ დამცავ საშუალებებს არ იყენებდნენ. მარია მკერდზე რადიოაქტიური ელემენტით სავსე ამპულას ატარებდა, როგორც თილისმას. რადიოაქტიურ ელემენტებთან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობის გამო მარია კიური ლეიკემიით დაავადდა. მარიამ ორჯერ მიიღო ნობელის პრემია 1903 წელს მეუღლესთან ერთად ფიზიკაში და 1911 წელს მარტომ – ქიმიაში.

რეიჩელ კარსონი (1907-1964)

1962 წელს გამოვიდა წიგნი „უტყვი გაზაფხული“. სამთავრობო ანგარიშებზე და სამეცნიერო გამოკვლევებზე დაყრდნობით კარსონმა თავის ნაშრომში აღწერა ის მავნებლობა, რასაც ჯანმრთელ ადამიანს და გარემოს აყენებს პესტიციდები. ეს წიგნი კაცობრიობისთვის განგაშის ზარი გახდა, რამაც მსოფლიოში ეკოლოგიურ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი. დიპლომირებული ზოოლოგი და ზღვის ბიოლოგი მჭევრმეტყველ ეკოლოგად გადაიქცა. ყველაფერი კი 1940-იან წლებში დაიწყო, როცა კარსონმა სხვა მეცნიერებთან ერთად გამოთქვა შეშფოთება მთავრობის მიერ ძლიერი ქიმიკატებისა და სხვა ქიმიური საშუალებების გამოყენების გამო მინდვრებში მავნებლებთან ბრძოლაში. წიგნის სახელწოდება კი რეიჩელის შიშის გამოხატულებაა, რომ ერთ დღესაც შეიძლება გაიღვიძო და ჩიტების ჭიკჭიკი აღარ გაიგონო. ქიმიური კომპანიების მხრიდან მუქარის მიუხედავად, გამოსვლის შემდეგ წიგნი ბესტსელერად იქცა. კარსონი სარძევე ჯირკვლის კიბოთი გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ის ვერ მოესწრო, ენახა, რამდენად მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა რეიჩელის ბრძოლამ ჩვენი პლანეტის ბუნების შენარჩუნების საქმეში.

როზალინდ ფრანკლინი (1920-1958)

ბევრმა როდი იცის, ვინ აღმოაჩინა დნმ. ეს მოკრძალებული ინგლისელი ბიოფიზიკოსი როზალინდ ფრანკლინი გახლავთ. დიდი ხნის განმავლობაში მისი დამსახურებები ჩრდილში რჩებოდა. ყველას კი პირზე ეკერა როზალინდის კოლეგების ჯეიმს უოტსონისა და ფრენსის კრიკის სახელები. ამ ქალბატონის ზუსტმა ლაბორატორიულმა ცდებმა, რამაც დნმ-ის რენტგენული გამოსახულების მიღება გახადა შესაძლებელი და რამაც დნმ-ის ჩახლართული სტრუქტურა გამოავლინა, მისი შრომა მნიშვნელოვანი გახადა.

ბარბარა მაკ-კლინტოკი (1902-1992)

ამ ქალბატონმა თავისი ცხოვრება სიმინდის ციტოგენეტიკის კვლევებს მიუძღვნა. კვლევებში მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ გენები სხვადასხვა ქრომოსომებში გადაადგილდება, ესე იგი გენეტიკური ლანდშაფტი ისეთი სტაბილური სულაც არ არის, როგორც ადრე ითვლებოდა. მაკ-კლინტოკის მიერ 1940–50-იან წლებში მოხტუნავე გენებსა და გენეტიკურ რეგულაციებზე განხორციელებული სამუშაოები იმდენად თამამი და მოწინავე აღმოჩნდა, რომ მათი ნამდვილობა ვერავინ დაიჯერა. დიდი ხნის განმავლობაში სამეცნიერო სამყარო უარს აცხადებდა მაკ-კლინტოკის კვლევების შედეგების მიღებაზე და მხოლოდ 1983 წელს მოიპოვა მეცნიერმა დამსახურებული ნობელის პრემია. მაკ-ლინტოკის მიერ გამოტანილი დასკვნები გენეტიკის თანამედროვე გაგების საფუძველი გახდა. მეცნიერმა შეძლო აეხსნა, როგორ იძენს ბაქტერიები ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადობას და ის, რომ ევოლუცია ნაბიჯ-ნაბიჯ კი არა, ნახტომებით მიმდინარეობს.

ელიზაბეტ ბლეკველი (1821-1910)

დღეს ბევრი გოგონა ამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს მიუხედავად იმისა, რომ ეს ადვილი სულაც არ არის. XIX ს-ის შუა წლებში კი ამ სახის სასწავლო დაწესებულებები მზად არ იყვნენ საკუთარ რიგებში ქალები მიეღოთ. ამერიკელმა ელიზაბეტ ბლეკველმა სპონტანურად გადაწყვიტა სამედიცინო განათლების მიღება იმ იმედით, რომ უფრო დამოუკიდებელი გახდებოდა. ის ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა. მიუხედავად ამისა, 1849 წელს ელიზაბეტმა სამეცნიერო ხარისხი მიიღო და ამერიკის ისტორიაში პირველი ქალი გახდა, რომელმაც მედიცინის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. კარიერა კი ვერ აიწყო, რადგან არ მოიძებნა კლინიკა, რომელიც ექიმ-ქალბატონს მიიღებდა. საბოლოოდ, ბლეკველმა საკუთარი პრაქტიკა დაიწყო ნიუ-იორკში. 1974 წელს ელიზაბეტმა სოფია ჯეკს-ბლეიკთან ერთად ლონდონში ქალებისთვის სამედიცინო სკოლა გახსნა. მედიცინიდან წასვლის შემდეგ ბლეკველმა რეფორმატორულ მოძრაობას მიუძღვნა და აგიტაციას უწევდა სანიტარიას, ოჯახის დაგეგმვასა და ქალთა უფლებების დაცვას.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ რედაქცია გულისტკივილით იუწყება **გია მაისაშვილის** გარდაცვალებას. ნათელში იყოს მისი მებრძოლი სული.

„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს **არჩილ ტატუნაშვილის** ცხინვალში ტრაგიკულად დაღუპვის გამო. თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

„საერთო გაზეთი“ სამძიმარს უცხადებს კინორეჟისორ ლევან ანჯაფარიძეს დედის **მანანა ჯაფარიძის** გარდაცვალების გამო

პანაშვიდები -
ხუთშაბათი, პარასკევი 17 სთ;
დაკრძალვა - 3 მარტს, 14 სთ.
მისამათი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 2/8 , I სადარბაზო, ბინა 5.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge